

კარი ერთოსელი

კოლეგი  
ფსალმუნი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 47

2020



მთ. რედაქტორი

**ჯამალ ჟელიძე**

პოეტი, მთარგმნელი, ივანე  
მაჩაბლის პრემიის ლაურეატი

© ვაკა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენიარსაფი”, 2020

---

თბილისი, 0186, ა. აღლიძეს ქ. №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-854-0 (47 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მეცნიერის, ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეო მეცნიერობის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-  
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-  
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-  
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი  
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის  
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,  
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი  
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი  
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-  
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი  
(შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა გაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდებლი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულახ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულივან შესძიო ყოველ შებას, ყოველ პაბებას.“

ა. პუშკინი

## წინასიტყვაობის მაგიერ

(გაგრძელება)

ვაჟა ეგრისელის პოეზია დვთის წყალობაა. ბუნების უიშვიათესი საჩუქარია, მის მიერ მონიჭებული სიხარულის წყარო ჩვენი მამულის უსაზღვრო სიყვარული და კრთგულებაა და ის კაშკაშა ნათელი, რომელიც დღეს ათასობით მკითხველს ეფინება.

ვაჟა ეგრისელი ქართული მწერლობის ისტორიაში ფერწერული მხატვრობის უპირველესი ოსტატია. მთელი მისი პოეზია ძლევამოსილი ხელოვნების ზეომია, თუმცა აქა-იქ შურით, ვერაგობითა და ლალატით აღესილი ხმლები კრიალებენ. სწორედ აქად პოეტის ნამდვილი სიდიადე. პოეტის მთელი შემოქმედება სიცოცხლის დამკვიდრებისათვის ბრძოლაა, ბრძოლა სიცოცხლის ჭეშმარიტი გააზრებისათვის:



\*

„სამშობლოს დაუგარდ ცისკენ მზირალი,  
მფარველი მიუსაფართა,  
ეს მთები კი არა,  
მუზებია,  
რომელბიც მოვლენ და ჩემს ობოლ საფლავთან –  
თეთრ სისპეტაკედ –  
აიტუზებიან“.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ომების მოგება იმ  
პერიოდის დადგომას ნიშნავდა, როცა ჭირი იქაა და  
ლხინი აქ. ასეთ დროს ქართველები ტაძრებსა და  
ციხე-სიმაგრეებს აშენებდნენ ხოლმე და მოჰყვებოდა  
თაობიდან თაობას უცნაური ნიჭი და ძალა:

\*

„ცხოვრება იყო გაძლება,  
სიცოცხლე იყო ზღაპარი.  
ტაძრებს ანთებდნენ კელაპტრად,  
ბნელ ცისქვეშ მამა-პაპანი,  
აშენეს ციხე-კოშკები, ათი კი არა ასიცა,  
მაგრამ იქ, სვეტიცხოველთან-ზე აიწია ქართლის  
ცამ“...

დიახ, ქართველი კაცის შუბითა და მახვილით,  
ხმლითა და საჭრეთლითაა ამოკვეთილი და ამო-



ქმული დიდი ისტორია, იმედი და რწმენა. თითოეული ციხე-ტაძარი ფეხმაგარი და ძლიერი ხალხის ყოფიდან, რწმენიდან და ყოველდღიური ცხოვრებიდან იღებდა სათავეს:

\*

„ვადვიძებ მძინარ ათასწლეულებს –  
ლეგენდები რომ  
უდევთ სასოფლაო.

სათაფლია კი

სიცხადეში წვეთავს თაფლივით.  
დამჟ ბნელს მოსოქვამს ზარით –  
მოზარის.

და აპა, ცისკრისას,

სტრიქონებში შემოვიტყე  
ვეება ხსოვნა, იხტიოზავრის“.

კითხულობ ვაჟა ეგრისელის იმ ლექსებს, რომ-ლებშიც ციხე-ტაძართა საგალობელია გაცხადებული და გრძნობ თითქოს დროში მოგზაურობ და თელავი იქნება თუ ლაგოდები, ყვარელი თუ სიღნაღი, ახმე-ტა თუ გურჯაანი თავისი ლირშესანიშნაობებით ასურს სულსა და გულში ჩაიბეჭდო.

პოეტი მეტაფორებს არ იშურებს დაგვიხატოს კახეთი – ილია ჭავჭავაძისა და ფიროსმანის სამშობლო.



რამდენი სანახავია ამ მიწაზე: ტაძრები და ცი-  
ხეები, ცადაზიდული ნისლიანი მთები და ტრამალე-  
ბი, სიძველენი, რელიგიები, მადლიანი მიწაც, სამ-  
კურნალოც კი...

სულ სხვა ფერებში გამოჩნდა ვაჟა ეგრისელის  
პოეზიაში სვეტიცხოველი – ცალკე სამყარო. ათასი  
საოცრებით, ფერთა თამაშით, სიწმინდე და მატიანე  
საქართველოს ქრისტიანობისა, მესეიერება ქრისტია-  
ნი ერისა. პოეტის რწმენით მის გალავანთან მთავ-  
რდება ჩვენი ეპოქის ჩქამი და სინათლე.

„მტკვრის ნაპირას,  
როგორც სვეტიცხოველი,  
რომ ვმდგარიყავ მეც ამდენხანს გავძლებდი...  
და ვნახავდი მტერს –  
ქართველთა მობელილს.  
ციო და მიწიო,  
მზიო და ციხე-ტაძრებით,  
სამშობლოა –  
ჩემი საგალობელი“.

ალბათ, უფლის საოცარი მადლი უნდა გვფარავ-  
დეს, რომ დროს აჯობო, მიწისძვრებს გაუძლო,  
მტერს ათასჯერ გაუმკლავდე და იდგე მედგრად,  
ამაყად, გქონდეს უამრავი სათქმელი, დიდი წარსუ-  
ლი, არ გელეოდეს მრევლი და შენს კედლებში პოუ-



ლობდნენ შვებას უპოვარნი. რამდენი ლექსი, რამდენი ლეგენდა, რამდენი დაუჯერებელი ამბავი შემონახა, რომ თორმეტი მოციქულის სახელზე აგებულ სვეტიცხოვლის ტაძარზე, რომელსაც იმთავითვე სახწაულოქმედის სახელი დაუმკვიდრდა. „სნეულნი მოვიდოდეს და განიკურნებოდნენ, ვიდრემდის მეფემან შეუქმნა საბურველი ძელისა გარემოს სვეტსა მას და დაფარა სვედისაგან“ („მოქცევაი ქართლისაი“).

ლექსები ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულზე, იდუმალზე იქმნება ხოლმე. ჩვეულებრივ ისინი თითქოს დაუჯერებელი, მაგრამ ლამაზი ამბებია, რომელბიც ასე მოგწონს. გინდა ირწმუნო, გინდა იყოს... და აპა ვაჟა ეგრისელის გასაოცარი ლექსიც:

\*

„კოცონებივით ჩაიფერვფლენენ  
საუბუნენი,  
მეფეების და გმირთა მორჩილნი,  
სიცოცხლის ყანას,  
ჟამის გარდა სხვა ვინ მომკიდა!  
და მიხარია –  
არსაკიძის მკლავი  
მოჭრილი,  
ავგაროზივით წარსულმა რომ  
მე ჩამომკიდა“. („სვეტიცხოველი“).



პოეტის რწმენით სვეტიცხოველი მარტო უფლის ტაბარი და ხუროთმოძღვრების ძეგლი არ ყოფილა თურმე, რაღაც უფრო მეტი, ლოცვასავით შვების მომგვრელი. შენ ხარ სვეტიცხოველი – იწყება და მთავრდება უძველესი ლოცვა და ფერსაც გრძნობ, მუსიკაც გესმის და რაც მთავარია, გჯერა: „დილით ხვლიკისფერია იგი, მოუღალავი მზით გაშუქებული, შეღამებისას ოქროცურვილია, ხოლო მწუხრის შემოდგომისას, თუ ვარსკვლავიანმა ცამაც დაადგა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუდე ჰარმონიით აღგხილი ხაზების ზესწრაფვა“. და, რაც მთავარია, პოეტის გჯერა, რომ მართლა:

\*

„ეს არსაკიძის ხმა არის ალბათ,  
ციფი და შორი,

ტკბილი და ამო,

მცხეთასთან,

მტკვარს ვით არაგვი ერთვის.

და სვეტიცხოვლის ტაძრიდან ერთი,

ანგელოსი გაფრენას ლამობს“.

პოეტმა არაერთი მხატვრული სახე შექმნა ციხე-კოშკთა, რომლებიც „სუროსა და ხავსს იფარებენ“ და ამ მხატვრულ სახეში აზრის ჩასადებად და ასამეტყველებლად ხატავს მეორე სურათს: ფარ-ხმალთა



ჯახებისა, სიკვდილისა და შიშის თესვისა, რამაც  
ციხე-კოშკებს ნაიარევი დაუტოვა:

\*

„შიშია და სიკვდილს რეკდნენ ზარები,  
გაფითრებულნი იდგნენ ტაძრები,  
ცისქვეშ მზეებად  
დუღდნენ

ფარები...

რომ არ ენახათ მტრებს მათ ტანზე  
ნაიარევი,  
ციხე-კოშკები  
სუროსა და ხავსს იფარებდნენ“.

ამ ლექსით ვაჟა ეგრისელმა მხატვრული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუში მოგვცა. დიდი ოსტატობით არიან აქ შერწყმულნი შინაარსი და ფორმა ერთიმეორესთან. ადრევე გაელვებული სურათები კვლავ მეორდება, აელვარებული ფარები „ცისქვეშ მზეებად დუღდნენ“ და ტაძრებსა და ციხე-კოშკებს, რომელბიც გაფითრებულნი იდგნენ და შემდეგ კი ნაიარევის დასამალად სუროსა და ხავსს იფარებდნენ“.

პოეტის ლექსი, შოთა ნიშნიანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, დანაღმულია მეტაფორებით, ეპითეტებით და შედარებებით და იმის ნათელ სურათს გვაძლენ.



ლევს, თუ როგორ იქმნება მხატვრული სახე, განსუ-  
რათება გათვალსაჩინოების მიხედვით:

\*

„ათასწლეულთა ქარცი ქარებით,  
დასერილია მთვარის ლანდშაფტი  
და შავრა ლამე,  
როგორც ულაყი,  
მიურეკება აღმოსავლეთით,  
ოქროსფაფრიან  
მნათთა ფაშატებს“.

პოეტის ფანტაზია კოლოსალურია:

\*

„ციხე-კოშკებთან მთები ბილიკებს –  
გვტყორცნის და გვტყორცნის  
ფრთიან ისრებად –  
ყინულის მბზინავ მუზარადებით.  
დაბადებიდან ფეხისწვერზე დგანან ქედები.  
რომ მტრებმა ნახონ:

რა შესძლებიათ.  
რადგან ეს მიწა ედემია და სამოთხეა.  
სეთა ფესვები  
ჩემი წინაპრის ძვლებია,  
ბევრიც ეცადონ,



კველას მაინც ვერ ამოთხრიან“.

ამრიგად აღწერილია პეიზაჟი, სადაც ყოველი საგანი საკუთარ არსებობას თავის შესაძლებლობაში მყოფი ყველაზე ინტენსიური ფერით ავლენს. ამ კონტექსტში მათი არსებობის უმთავრესი თვისებაა იდუმალება. იდუმალება ტაძრებისთვის ნიშანდობლივია და იგი უზენაესზე გონის დაუნჯებისათვის განკუთვნილი ადგილია:

\*

„დუმს არმაზი და სვეტიცხოველი...  
აქ პომპეუსის

ზარმა დარეკა  
და მცხეთის კარში შემოიხედა.  
მტკვრის პირას ვდგავარ,  
როგორც მარეკი,  
ირგვლივ წარსული ყრია ციხეთა.  
მთვარე კი როგორც მოსამსახურე  
ან მარტოსული,  
ანუ მიჯნური –  
შუბლშეჭმუხვნილი ცივად  
დამყურებს.  
ამ წუთისოფლის ცას გამიჯნული.  
შეატორტმანა მთელი მაშრიყი –  
სიმყუდროვეში მდგარმა მეხთტეხამ.



და დამე მოჰგავს უცებ დაშლილ ტივს  
და გადახიდულს სადღაც მეტეხთან“.

ეს ლექსი პოეტური ენერგიის მიზანმიმართული  
დემონსტრირებაა, გაუა ეგრისელის პოეტური ფენომე-  
ნი გარშემოჯარული პოეტური სამყაროების რეალს  
იგერიებს, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ მის  
არსებობას თავისი მნათობი ეგულება თავის წილ  
ქვეყანაში და სრულიად ახალი სივრცე ეკუთვნის,  
რაღაც როგორც თავად ამბობს:

\*

„მე,  
მიწის ძე ვარ ანტეოსივით,  
სხვები კი უფრო ზაცას ელტვიან...  
და ჩემი სული მზით შემოსილი,  
დედამიწაზე ვერ დაეტია.  
გაიგლის ჟამი...“

დიდი ხნის მერე,  
ნათელი მოვა დვთის ნაბოძევი  
და... საუკუნის ჩრდილში დაკარგულს –  
ჩუქად მომძებნის“.

ან კიდევ:

\*



„შორეთის ფსკერზე –  
მოციმციმე ნათელს  
ვუძვრებდი,  
ფერებში მხოლოდ მე მიყვარდა  
ჩემი ქართული  
ლაუგარდი,  
ცას რომ შეაბოლეს ლურჯმა იებმა,  
და... ანთებული წმინდა სანთურიო,  
დაფნას, ჩემსავით, აქ  
არავინ  
არ ეძიებდა“.

ასე ლალად მომდინარეობს ვაჟა ეგრისელის  
ლექსი.

თავიდანვე მკითხველი პოეტის სათქმელ-საფიქ-  
რალს ლამაზ მხატვრულ ფერებში აღიქვამს და ეს  
გამარჯვებული – მარადიულობის შინაარსი – ახალ  
სულისკვეთებას, ახალ ენერგიას მატებს ეგრისელის  
ფენომენს:

\*

„სითბოს,  
სინათლის ორფეოსივით –  
მღერის შენი მზე,  
შენი მთვარე კვლავ სალამურობს...  
შენი ცაც ნათობს, –



სად დამეებს თეთრად ვათევდი.  
შენს ლაჟვარდოვან სიმაღლეში, ჩემო მამულო!  
თუმც გვიან...  
მაგრამ მაინც გავთენდი!..“

„რაიც ყოფილა, იგივე იქნება, არაფერია მზის  
ქვეშ ახალი“, გვეუბნება ეკლესიასტე. სამყაროს  
წრებრუნვაში ეს შეიძლება ასეა, მაგრამ პოეზიაში  
სხვაგვარადაა. ახალი იყო ქართულ პოეზიაში შოთა  
რუსთაველი და დღესაც და მუდამ ახალი იქნება,  
დავით გურამიშვილიც ასეა, ნიკოლოზ ბარათაშვი-  
ლიც, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონიც ასეა, რამეთუ  
ისინი არავის იმეორებენ და მათაც ვერავინ გაიმუ-  
რებს.

ახალია ვაჟა ეგრისელიც – მან ისეთი პოეზია  
შექმნა, რომელიც არავის იმეორებს და თვით მისი  
გარემოებაც სხვათა მიერ წარმოუდგენელია“.

დიახ, XXI საუკუნის გარიურაჟე მთელი სიმ-  
ძაფრით ჩანს ვაჟა ეგრისელის პოეტური ენერგიის  
ძალმოსილება. იგია ღირსეული დგომის ეტალონი,  
რაც უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ პოეტური  
ენერგიის თვალთახედვის დადასტურებად და ამავე  
დროს ადამიანური არსებობის სრულყოფილი გამო-  
ნათებაც:



\*

„მშობლიურ მიწას –

ათასწლოვან ფეხსა ვუგოცნიდი,  
მაგრამ მარადის ზეცა იყო ჩემი იმედი,  
მათ შუა პარალელს,  
ვით ოქროს კვეთს  
მუდამ ვავლებდი:  
ქართლის ცის ლაჟვარდს სულ მიწიდან შევცი-  
ცინებდი,  
აწ ქართულ მიწას, მსურს რომ ციდან  
ვუთვალთვალებდე“.

(„გამოსათხოვარი“)

### დედის ხატი გაშა მბრისელის აღმაშიაში

ვაჟა ეგრისელის, როგორც შემოქმედის, ძირი-  
თად თვისებას ფიქრი წარმოადგენს. მისი ლექსი აზ-  
რობრივი ელემენტების გამეორებაზე, მეტაფორაზე,  
დეტალების ჩამოთვლაზე, სიუჟეტზე ან ისეთ პოე-  
ტურ კითხვაზეა აგებული, რომელიც პასუხს არ მო-  
ითხოვს. პოეტის მინიატურული, ესკიზური ანასხლე-  
ბები მისი მკაცრი, მაგრამ სადა სტრიქონები ნამდვი-  
ლი ლიტერატურის, ნამდვილი პოეზის ნაწილია.

„მგოსნის შორეული წინაპარი ერთი იმ უსახე-  
ლო ჩუქურთმის მჭრელთაგანი შეიძლება ყოფილიყო,



ვინც თავისი მარჯვენის სიმტკიცითა და სულის სიფაქიზით ქარგავდა ქართული ტაძრების პერანგს. სიმტკიცე და სიფაქიზე სწორედ ისეა შერწყმული მის პიროვნებასა და მის პოეზიაში, როგორც ეს ქვის ამდერების ოსტატებს მოსდგამდათ, მარადიულობასთან რომ იყვნენ წილნაყარი“.

დიახ, სამყაროს ჭეშმარიტად მაღალ მუზებთან ნაზიარები და ამით საოცრად ამაყი და შემართული კოლხი პოეტი იმ სულიომებზეგალ ქართველ ინტელიგენტებს მაგონებს, რომლის ამქვეყნად არსებობა და შემოქმედებითი წვა აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს უსამანო დროსა და სივრცეს...

ნამდვილი ვაჟა ეგრისელი პოეზიაში მუდავნდება, მის ლექსებშია სრული თვითგაღების სურვილი, ძალისხმევა და ეს თვისება მომნუსხველია, რადგან გულწრფელობის, პეროიკის, ფიქრისა და ლამაზი ოცნებების ნაჟურია, უფრო მეტად ეს არის ბუნების იდუმალ ძალებთან შერწყმის მისტერია...

„მშობლიური კუთხე, ბავშვობის უწმინდესი და დაუკიწყარი შთაბეჭდილებანი ზეობს და ცოცხლდება ვაჟა ეგრისელის პოეზიაში“.

„ვაჟა ეგრისელის წიგნში „მოლოდინი“ ზღვის კიდეზე ხომალდივით დარწეული მზის სხივი, წარსულიდან კოლხთა მიერ ნატყორცნი შუბივით ეცემა ცის ტაძარში მლოცველივით მდგარ მყინვარს. სოფლის ბოლოს თოვლქვეშ მმინარი სასაფლაო იაიების



ლილებით გულმკერდს შეიძნევს. არყოფნის აივანზე გარდასულთა აჩრდილები სხედან და ყურს უგდებენ როგორ ბორგავს და ბობოქრობს საუკუნე თავის ოს-ვენციმებით და წასაქცევად განწირული პიზას კოშ-კებით. აქ კი ზღვის პირას, მეგრულ ფაცხაში სულის დამამშვიდებელ იდილიას დაუსადგურებია: მოხუცი დედა წინდას ქსოვს, ძირს დაგდებული ძაფის გორგალს კატა ეთამაშება. წარსულიდან ნატყორცნი შუბი, მყინვარი, სასაფლაო, ოდის აივანზე მსხდარი აჩრდილების შემაშფოთებელი მზერა თერმობირთვული საუკუნისაკენ, მოხუცი დედა და ძაფის გორგალთან მოთამაშე კატის გადამდები სიმშვიდე... ასე მასშტაბური და შთამბეჭდავია ვაჟა ეგრისელის ლექსების გეოგრაფია და ლირიკული თვალსაწიერი“.

გულმართალი პოეტი საინტერესოდ ხატავს მშობლიური კუთხის სურათებს აკი სამეგრელოს, ესე იგი ისტორიული ეგრისის სახელი გამოიყენა ფსევდონიმად გამოჩენილმა პოეტმა ვაჟა დოლბაიამ. დასამახსოვრებელი შთაბეჭდილებებია გადმოცემული იმ ლექსებში, რომლებიც ვაჟა ეგრისელმა მიუძღვნა უახლოეს ადამიანებს (დედ-მამა, მმები, მეგობრები).

„ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის. უფროს ქალაქს „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას – „დედა-ბოძს“, უდიდესსა და



უმაგრეს ბურჯს – „დედა-ბურჯს“, სამთავრობო აზრს „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცს კი „გუთნის დედას“, რამდენად გამდიდრებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!.. სიდიადე, სიბერე და სიმკვიდრეც-კი აღნიშნულია დედობით! ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა. სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“.

ვაჟა ეგრისელი უტკბილესი ჰანგებით უმღერის ქალს, დედას, იმას, ვინც თვითონაა სიცოცხლის წარმომშობი და მატარებელი.

დედა, ქალი – სიცოცხლის წყარო და მშვენება, ოცნება უკვდავებაზე... რამდენი თქმულა, რამდენი დაწერილა მასზე, რამდენი ფიქრი, გატაცება და მოლანდება... ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ამ მოტივებით შთაგონებული ლექსის კითხვისას ახალი უჩვეულო განწყობილებების სიახლოვეს შევიგრძნობთ:

\*

„მეგონა: დედა მარად ივლიდა  
ქვეყნად და...

არრას დააკლებდა დღეთა  
მარულა.  
დაუმინია შვილმკვდარ დედას




და იმ ძილიდან –  
მარადიულში, თურმე, შვილთან გაპარულა“.

დიახ, ისიც ვინც კარგად იცნობს ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას, იგრძნობს, რომ ამ პოეტური შედევრის უძლიერესი კომპონენტი „შვილმკვდარი დედის ძილიდან მარადიულში შვილთან გაპარვა“, მართლაც რომ პოეტის ფაქიზი გრძნობაა დედისადმი. შვილის მარადიულ საუფლოში დედის გადანაცვლების გზა პოეტური მიგნების საოცარი მხატვრული შტრიხით ადამიანის ცხოვრების გზასა და დასასრულის მოხაზულობას იღებს ჩვენს წარმოდგენაში. ზნეობრივად ამაღლებულია, ამაყი და სევდანარევი ეს გზა...

**ციალა მჟახია**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



## ვიზნი – “ნათელნილება”

მოვლე ინდოთა ქეყენები,  
მულდაზანზარის ველიცა,  
რადგანაც ყოფნა უშენოდ,  
აღარ მიღირდა ჩირადაც.  
დღეს მიკვირს:  
ჩემი ბნელი გზა  
ასე ვინ გამიჩირადდნა?!

1976

\*\*\*

ცხოვრება ქსე –

არის ურია,

დღეთა ფართლეულს გვიზომავს ის

ძველი არშინით.

მისთვის ერთია ჰიპოეგვი და

ჰიპოლიტე.

ჩვენ კი არყოფნის ციხეს გარშემო

ვუვლით მანამდე,

სანამ დია კარს ვიპოვნიდეთ.

1996



\*\*\*

წამით ყოვნდება მტკვარი მეტეხთან  
და ვით ისარი გულში ნაკრავი,  
ტანში დაუვლის ქრუანტელივით –  
დღის მოტანილი კრწანისიდან –  
ხმა მესაკრავის.  
მზით გახურებულ საქართველოს ცის  
ცხელ თონეში,  
საღამოობით ვარსკვლავები –  
დიმილს აკრავენ.

1969



## რა ძნას გარბმა მონარდემა

გამოსახსნელი დამრჩა ნესტანი,  
დარახტული მყავს რაზმი  
ინდოთა,  
მაგრამ ერთი რამ მაფორიაქებს,  
რომ უეჭველად შაში მინდოდა  
და...  
მე ცალთვალა მიმზერს იაქ.

1971



## ხევები ქარში

ცა ისე,

როგორც მზეთუნახავი,

ხშირად ჩამოშლის ელვის

ნაწნავებს

და ქარიც ტყეებს თავზე ევლება.

ხეები მაინც,

პირს იკაწრავენ,

მაინც ფოთლების ცვივათ ცრემლები.

1967



## მას ძაღლი დააკვდეს

მიასვენებენ საწყალ ძაღლიკას,  
ბალზამირებულს მწარე არყიოთ  
და “მალბოროთი”.

ბაღათერას,  
ხმა ესმის მაცილის:  
— მას ძაღლ დააკვდეს! —  
იყო ბოროტი,  
დარგ! სამარეტდე არ მიაცილო!!!

1974



## კოლეგია პირობები

ათასწლეულთა მითებს და ლეგენდებს,  
მიცოცხლებენ და ბნელ წარსულს  
მირბევენ –

კოლხური... კოლხური... კოლხური  
კვირბები.<sup>1</sup>

ამ საოცრებისგან, ო, ღმერთო,  
მიხსენი!

აურულებს ბაბილონს,  
რომსა და ეგვიპტეს –  
ვკითხულობ “მქვდართა წიგნს”  
დაწერილს  
“ღვთისენით”.<sup>2</sup>

1996

<sup>1</sup> კვირბები – უძველესი კოლხური ანბანი (წიგნები).

<sup>2</sup> «ღვთისენით» – იეროგლიფებით დაწერილი ეგვიპტური “მქვდართა წიგნი”.

## ბადაიარეს შურის ღვიძლება

ჩემი ცხოვრების ლურჯი ცარგვალი,  
მტრობით და ბოლმით დაუფარავით  
გადაიარეს შურის წვიმებმა.  
როგორც არასდროს,  
როგორც არავინ,  
კელი ჩემი მზის ამობრწყინებას.

1968



## პონტოს და ფაზისს

უამთა ქარიშხლებს გადარჩენილი,  
არავინ უწყის,  
დღე – აქამდე, როგორ მოხვედი,  
წარმართოა გზებით,  
ლოცვებით და ოქროს საწმისით.  
პონტოს და ფაზისს ხელო უპყრია  
ძველი კოლხეთი –  
მთელი სამყაროს დასასრული და  
დასაწყისი.

1964



\*\*\*

მნათთა კრამიტით დახურულ –  
განთიადს ჭერი ახადა,  
მეხის ნატყორცნმა –  
ელვის გზაშ.

მთოვარის ყალმით ცა ხატავს –  
ზღვისა და ქარის პეიზაჟს.

1989



\*\*\*

რადგან სიკვდილი ყოველთვის,  
გით რაინდს, ფეხზე მეტიდა,  
და სული ცისკენ მზირალი,  
მსურს სიყვარულში ამომხდეს.  
და ყოფნის ჯოჯოხეთიდან –  
მოხვდე არყოფნის –  
სამოთხეს.

2000



## სოზმი – 92

თარს კი არა,  
 შენს წუხილს,  
 ჩამოჰკარი მიზრაფი,<sup>1</sup>  
 ერთ საფლაგში სამი წევს.  
 შენ კი სადღაც იხტრაფვი,  
 გულო! –  
 მართლა სამიწევ!

1992

---

<sup>1</sup> მიზრაფი – თხელი ფირფიტა თარის დასაქრაფი



## ბაბილონს, მისრეთს და ასურეთს

მოდგმაშ კოლხების და ლაზების –  
გზა განვლო ტანჯვის და  
წამების,  
სანამ ბაბილონს,  
მისრეთს და ასურეთს,  
წმინდა და კეთილმა მამებმა,  
ქრისტეს რწმენა და მირონი ასხურეს.

1979



\*\*\*

წარსულ დროთა –  
ცის ჭასთან,  
მოჩანს მოვარის ბერკეტი.  
პონტოს სანაპიროზე  
ვხედავ მტერთა მთიბავებს:  
ხალიბებს და კერკეტებს,  
თუბალ-თაბალ-  
თიბალებს.<sup>1</sup>

1980

---

<sup>1</sup> პროტოქართველური ტომები.



\*\*\*

ვეცოდებით!

მიტომაა,  
დაგვცექერს ცა თვალ-ნამიანი...

აბა, რა დასამალია,  
რომ სიცოცხლე შხამი არი,  
და სიკვდილი წამალია.


2005



## ԱԿՏՈՐԸ

Իշխան գույնու Վահագույնուն,  
Տեսական լուսական Վարդապետական:  
Չափուն, գույնուն,  
Կոծուն, գույնուն,  
Ու ամառապատճեն Վահագույնուն,  
Եղանակական Վահագույնուն –  
Ակտորական Վահագույնուն.

1958



## აცტეკებს, მაიას და ინკებს

ვეძახი ატლანტს<sup>1</sup> და პელიოსს,<sup>2</sup>  
მითიურ კოლხელთა  
გვარ-სახელს.  
წარსული ზღვაა და არასდროს  
დაიკლებს,  
ამიტომ ჩემს წიგნში ვასახლებ:  
აცტეკებს,  
მაიას და ინკებს.

1987

---

<sup>1</sup> ატლანტის და პელიოსის მამები – ჰიპერიონი და იაპეტი მმებია.

<sup>2</sup> პელიოსი – კოლხეთის მითიური მეფის – აიეტის მამაა.



## გამეყ დადიანი

შვიდი საუკუნის მერეც,  
 ახსოვს ცხუმსაც  
 და აფხაზეთს,  
 როგორც “შეფე” და “პოეტი”.  
 აღმოსავლით –  
 ცხენისწყალით,  
 დასავლით კი –  
 კაპოეტით.<sup>1</sup>

1969

---

<sup>1</sup> კაპოეტი – მდინარე ბზიფის უძველესი სახელი



\*\*\*

მზე ჩადის...

და დასალიერთან –

მოისმის არყოფნის საარი.

ქარები სხივებს ანანავებენ.

სასაფლაო კი –

წარსულის ზღვა არი

და ყრია ლოდები –

სიკვდილის ნავები.

1978



## პოლეთის გემები

ვერც სიზმარში და ვერც ცხადში,  
უკოლხეთოდ,  
რა ვქნა, ვერ ვძლებ.  
დამით ლაზურ აფრებს გავშლი  
და ბობოქარ ჟამთა ზღვაში –  
ვუხმობ გატაცებულ ვერძებს  
მე დავკარგე აიეტის კოლხეთი და  
იმას ვეძებ.

1960



## ხობოსი

აკივლდებიან ტყეში ჭოტები,  
ბრმა თვალებიდან –  
შიშს და ღამეს  
ერთად კვესავენ,  
როს პარას ჭალას დავიწყების  
ნისლი დაბინდავს.  
ხოლო შორს, სადღაც,  
მზით შებოლილ  
მთვარის ქვაბიდან,  
შუქი გადმოდის მდუღარ რძესავით.

1970



## სიგვდილის ქალაპი

არყოფნის ციდან ჩამოსულებს,  
 მიწა მოზომილი აქვთ არშინებით,  
     აქ წევს მაკრინეც და მალაქიაც.  
 ქვებით და ლოდებით ნაშენები  
     სასაფლაო —  
     სიკვდილის ქალაქია.

1964



## ვითარც სპა რამზეს მეორის

შორ წარსულიდან მოაქვს ქარიშხალს,  
კოლხ წინაპართა უხმო გოდება  
და დიუნები მას იმეორებს  
სიჩუმის ნაპირს ზღვა კვლავ ანგრევს  
ზეირთთა ლოდებით,  
ვითარცა ფაზისს ველური სპა  
რამზეს მეორის.

1974



## მე როდის ბაზილიშვილის

სადღაც ჯოჯოხეთია,  
მესმის კუპრის დუღილი...  
ის კი სულ სხვებს უღიმის.  
მე როდის გამიღიმებს,  
წამით აქ შემორბენილს,  
წარმაგლობით —  
მიღმიერს.

2002



## 01პეტს და პიპერიონს

შორი ათასწლეულები –  
ლეგენდების უფენს ფარჩებს.  
სადაც უნდათ,  
იქ ერიონ.  
კოლხეთის ცა მაინც არჩევს:  
იაპეტს<sup>1</sup> და  
პიპერიონს.<sup>2</sup>

1989

---

<sup>1 2</sup>პიპერიონი – პელიოოსის, ისინი ძმები არიან.



\*\*\*

აღმოსავლით მავალ ვარსკვლავთა,  
მოისმის ხმა დაფდაფების,  
ჰორები ისევ აღებენ

ცას –

ნაქსოვს ელვის ძაფებით  
და წევიძის ყაისნაღებით.

1979



## ოობორც ყარაჩოლელი

რადგან ქვეყნად მოხვედი,  
როგორც ყარაჩოლელი,  
არც არავის მონებდი,  
არც არავის ემონე,  
მაგრამ მაინც ცხოვრება,  
ვეღარ დაიგემოვნე.

2001



## თანაფა<sup>1</sup>

ჩემი სიტყვა ძველ ქართული,  
აი, ახლაც მთავარია,  
მახვილს მოჰვავს ალესილს.  
თა — მზე არის,  
ნა — მოვარეა,  
ფა — ჯი უზენაესი.

1977

---

<sup>1</sup> თანაფა — აღდგომა (მეგრ.)



## ზღვა და პოეტი

სამოთხის დატოვებისთვის,  
სამაგიერო მიუზღვას,  
არც ადამი ჩანს,  
არც ევა.  
ღმერთი არ მისცემს პოეტს,  
ზღვას –  
შავ ყბაში გამოსამწყვდევად.

2000



## მუსიკი

თვით არწივზეც კი,  
პოეტი,  
ერთი გაფრენით მეტია.  
რა მქონდა დანაშაული –  
ამდენი დამე მეთია.  
ნეტავი როდის მოვრჩები,  
ამ წუთისოფლად ხეტიალს.

2005



## ეპა, სიძვლილო

შენც კაცი ხარ!!!  
მიპარვით კლავ!  
ყაჩაღებს და შლებებს ყვარობ.  
დადიხარ და კერებს აქრობ.  
მე კი მინდა, შენ, სიკვდილო!  
ერთი-ერთზე შეგეყარო,  
გინ ვის...  
ჩემო, მერე ვნახოთ!

1964



## პოლეზრი აზრები

მზესაც ვასწრებ,  
ლეგენდიდან –  
ხოხობივით აფრენილს.  
ვტოვებ თბილისს...  
და ევქსინის  
ზღვისკენ მივესწრაფები,  
რადგანაც აქ არ მასვენებს  
ხმა –  
კოლეური აფრების.

2001



## დიღმის გელი

ქართლის მეფე ფარნავაზი,  
თითქოს ფეხმარდ ირემს მისდევს,  
ისე ბრწყინავს დიღმის არე.  
ეფერება მზე ბაღებით:  
ვარდებს თეთრად პირმდიმარჯეს,  
იებს –  
ლურჯად მკერდგაღედილს.


1968



\*\*\*

მდინარეთა ნახმალევი –  
მიწას ვეღარ მოურჩა.  
ფეხზე დგანან მოები და  
ვარსკვლავთა ჰიმნს უსმენენ.  
ცის ემბაზში განბანილ  
ღამეს.  
მთვარე მოუჩანს –  
აქილევსის ქუსლივით.

1962



## გერვან ბაიბო

ჯერ მოკვდავთაგან ვერვინ გაიგო,  
იმ ქვეყნად, ნეტავ,  
ვინ რას არიგებს,  
რომ ერთხმად ყველა იქით იჩქარის:  
მეფე – მდიდარი,  
მონა – ღარიბი,  
ფარაონიც და იანიჩარიც.

1992



## სიბრძნე ბალაჟგარისა

ყურს არ იპარტყუნებს სპილო,  
 ყოფნის ციდან წვეთავს თაფლი,  
 ცის სამზეოს ასდის ბუღი  
 და მთას ეშინია აღგვის.  
 ცხოვრების ხეს ფესვებს უდრდნის  
 ქვლავ,  
 “თეთრი და  
 შავი თაგვი.”<sup>1</sup>

1964

---

<sup>1</sup> თეთრი და შავი თაგვი – დღე და დამის სიმბოლოა.



\*\*\*

აიეტის კოლხეთი,  
ახლა თავს იმძინარებს  
და სიზმარში დაეძებს  
წინაპართა ნასახლარს:  
ეგეოსის ზღვის კარად,  
ათენს და შუამდინარეთს.

1981



## ပဒေသိပ္ပ ဂုဏ်သာတော်

မအမာ-အပာတော် မဒုလ္လာပို့  
နာတော်၊  
ပျော်စွဲလို မိမိ၏ ပုဂ္ဂိုလာ အရှင်  
စာမျက်နှာမျက်နှာ  
ဖော် အဖွဲ့အစည်း၊  
ရာဇ်အပို့၊  
ချော်စွဲ၊  
သာမတ စာမျက်နှာမျက်နှာ  
မြှော်မျက်နှာမျက်နှာ  
ပုဂ္ဂိုလာ ကုဏ်သာတော်၏ နာဖွေ့ကျော်

1969



## მინდვრის ქვავილები საფლავზე

მესიზმრა:

ღამე წვებოდა დიდი,  
იძირებოდა მთოვარის აფრა,  
მემინდეს ჩუმად აედო მინდი.  
და მიტოვებულ ჩემს ობოლ საფლავს,  
თაგს აწონებდა ყვავილი  
მინდვრის.

2003



## ლაზარეთი – 1915

ნაიარევ გულზე იფენს –  
მამულზე დარდს,  
როგორც დეკას.  
გაჟავ და ქედს არ იხრის.  
ისმენს ტროას ცხენის  
ჭიხვინს  
და ჯურხაის ფარის რეკვას.

1964



## ხსოვნის მდინარე

ცათამდე წვდება მეფის სასახლე,

(მოჩქეფს ზეთის და

რძის შადრევნები).

ჩაუმსხვრევია თუმც ჟამს მინები,

და მაინც ოქროს მოჩანს

ზვინები.

ჩემი კოლხეთის დიდ წარსულიდან –

ხსოვნის მდინარე ისევ ისე

მოედინება...

1961



## მესხეთში

დამე თეთრით მოსილი

მიგამგვანე ინდიელს.

წარსულის ყურთბალიშზე

სძინავს კლარჯეთს,

ტაოსაც.

მირიადი მნათისგან სივრცე

დაცარიელდა.

- მოყმეს ეძებ? -

ტყაოსანს!

ცრემლის ბილიკს მისდიე

და ის გამოქვაბულში მიგიყვანს

ტარიელთან.

1960



\*\*\*

ცის მეჩეთში ღრუბელი მოგვს  
მიგამსგავსე,  
მუხლმოყრილი კვლავ ლოცულობს  
თითქოს ისლამს.  
სანამ დილა მზის მარჯვენას  
გამომიწვდის,  
დამე თვალში ელვის სველ თითს  
ამოისვამს  
და მთვარის წირპლს ამოიწმენდს.

1964



## აჰარაში

ტალღები თათარ-ოსმალთა –  
 დამპყრობი ჯარი მგონია  
 ზღვას გადასცქერის გონიო,  
 ლოცვებით უფლის მმოსავი.  
 მიწა დუმს მოების დამტევი,  
 დუმან ქედები ქედაში.  
 წვეთავს სინათლის ზედაშე –  
 ცას –  
 ვარსკვლავებით დამტევნილს.

1971



## ჰბაშვილის ნაკალმარს

სველი ჩანს მთვარის სამელნე...

გარსკვლავთა ოქროს ასოებს –

აუდის სხივი კამკამა.

და, ცა ისეა ნაჭედი,

პგავს რუსთაველის

ნაკალმარს.

1969



## 0სტორიის მატარებელი

მზის შვილს<sup>1</sup>,

ისტორიის დგას წკვარამი

და დღეები წარსულში

არ მატარებენ,

რატომ?

რისთვის?

არავინ არის გამგონე.

წარდვნის იქით –

თუმც მივყევარ –

ალფავიტის მატარებელს

და ქართველი ასოების გაგონებს.

1988

---

<sup>1</sup> იგულისხმება კოლხეთის მეფე აიეტი



\*\*\*

ასე ყოფილა მოქვდავთა ბედი:  
იტანჯვის ზოგი,  
და ზოგიც ხარობს  
და გადადიან სიცოცხლის ბოგირს,  
მერე ბოგირქვეშ –  
მარადის მედინს,  
ეწაფებიან სიკვდილის წყაროს.

1969



## სოფოკლე

“ორესტეაში” სოფოკლე,  
ბრძანებს ღმერთები ელინთა:  
- რაც არს ცითა და  
ხმელითა,  
იქცევა ნატისუსალად,  
წერა-მწერალის ხელითა.

1959



\*\*\*

საუბუნე მრავალი –  
ჩუმად გადაიგრგვინებს,  
შენ კი ქვეყნის ჭიპამდე –  
ივლი განმარტოებით:  
თავზე – ეკლის გვირგვინით,  
შუბლზე –  
დაფნის რტოებით.

1970



\*\*\*

ზღვის ფსკერიდან ამოსული —  
მწვანე კონცხთან  
და ყულევთან,  
ისმის ზეირთთა არია:  
— ზღვაში დამხრჩვალთა  
სულები,  
ისევ ზღვას აბარია.

1986



## დიდი გაშას ნატამალი

პოეზიის ცაზე მფრინავს,  
უამმა მეხი აგარიდა  
და მიტომაც გადიქროლე:  
მოქბი,  
ზღვები,  
და ტრამალი.  
შენ ხარ შოთას ნაგრამი და  
დიდი ვაჟას  
ნატამალი.

1959



## ჰენოოს

ცრემლები მდის კაპლის სიმსხო,  
წლებმა როგორ გაგიმეტეს –  
შენ, –  
ჰენოო! –  
ჩემო სისხლო,  
პონტოს პირას გიხმობ კოლხი,  
მეცხენეს ოუ მეგტლეს.

1967



## პრეზისტორიული გოლეთი


ლაქვარდოვან ციო მოსული,  
აქ არწევდა პონტოს აკვანს,  
ჟამიო მოოიაფეთი:

დედაც,  
მამაც,  
პაპის პაპაც –  
ქამის,  
სემის,  
იაფეტის.<sup>1</sup>

1980

---

<sup>1</sup> სამი ქართული შტო – მეგრული, სვანური, ქართული



## მერე...

მტკვარმა როცა ჩაუარა მეტებს,  
 ყარახოდელები –  
 ყინჩად ცლიდნენ ჩარექიანს.  
 ორთაჭალის ლურჯ ბაღებთან  
 ტანი მიმოარწია.  
 კიდევ ერთხელ მოიხედა...  
 და ხელი ჩაიქნია,  
 მერე თავის დასახრჩობად  
 კასპის ზღვისკენ გახწია.

1989



\*\*\*

## გოლგოთისპენ

ქრისტესავით ნაწამებს –  
ლურსმნებით და სარჭებით,  
გოლგოთისკენ უღმერთოდ,  
მიაჰენებ შენს დღეებს –  
მზის ნალებით დაჭედილს.

2001



\*\*\*

ცის წვერზე ერთი ღრუბელი,  
ელვის ოქსინო ძაფებით,  
რაღაც ძაძის მსგავსს  
იკერავს.

მთიები –

ღამის ნაშობნი,  
მიფიცხებიან მზის კერას  
და მთვარის პერანგს აშრობენ.

1989



\*\*\*

დიდი ეგრისის მიწაზე –  
ირეოდა მტერ-“მოყვარე”,  
ვითარც სკა ახალნაყარი.  
იყო კაცო-კვლა და თარეში.  
აღარ არსებობს სამყარო,  
ჩემი კოლხეთის გარეშე.

1959



\*\*\*

ჩამოხუნძლული ზეირთთა მტევნებით,  
ლაღობს და ხარობს  
ბაღი შავი ზღვის –  
მძვინვარ ქარიშხლებს შეფარდებული.  
ცა კი ვარსკვლავებს  
თაგზე არისხებს,  
მასზე უღმერთოდ შექვარებული.

1987



## მყინვარი

სიმაღლეს და სიდიადეს –  
მარადის გამყივარი:  
გადმოყურებს დედამიწას  
შენი ძეგლი –  
მყინვარი.

2005



## თეთრი ღრუბელი

ზღვიდან ქარიშხალს ამოაგელვებს,

სამყაროს მსნელი

თუ დამღუპველი.

და მერე წვიმას გულში გაივლებს –

შორს მიმავალი თეთრი ღრუბელი,

ყაყაჩოებით –

ცა მოყვავილე.

1979



## 0სეზ აშმ

სადღაც სამყაროს იქიოთ,  
მიღმა ათასწლეულთა –  
მიწყდა ღამის არული.  
და სივრცეებს ფარავენ –  
ჩუმი და ასტრალური  
ჩემი “მე” და “არამე”.

1986



## ჯოჯოებს და გასაპებს

აღზევება უდირსთა,  
არსთა ყოფნას ამყაყებს  
და მას არ აქვს ასაკი.  
დარი უდგათ ბაჟაჟებს,  
ჯოჯოებს და  
გასაპებს.

2000



## ნაბრამი ტაონთა

ცას არა უშავს,  
მაგრამ ცისქვეშეთი,  
პოეტო,  
უღმერთოდ, ო, როგორ აოხრდა.  
შენ კი მზის შვილობას,  
არა და არ იშლი,  
რადგანაც შენ ხარ, ნაგრამი ტაოხთა,  
ლაჟვარდის და ნათლის,  
ზღვისა და ქარიშხლის.

1991

\*\*\*

ელგამ თვალი ოომ ჩაუკრა,  
ფერი გადიკრა კვლავ ნაცრის  
ცამ  
მეხთა ტეხით მყვირალმა,  
სინათლის სავსე მზის ვარცლი  
დღემ —  
ზღვაზე დააყირავა.

1963



## მარტის ქარები

ზამთრის სიცივეს გამოქვეული,  
მარტის ქარები ქრიან  
წყეული.  
დღეები თითქოს იქცნენ თულებად.<sup>1</sup>  
გზისპირას მდგარი ხე –  
ბროწეულის,  
ფოთლებით ალგას,  
კვლავ რაღაცას ეჩურჩულება.

1990

---

<sup>1</sup> თული –ყაჩაღი, აბრაგი



## დარღვების პოშპებს გაშენება

მთებს მიმალული ღრუბელი,  
წვერით ვამსგავსე ბილლადენს.  
დუმს მთვარე –  
რგოლი მაშველი.  
და მე, მწუხარიდან – დილამდე  
დარღვების კოშკებს გაშენებ.

1999



## თბილისის ჭადრები

გაამთენისას,  
ძილგატეხილი,  
როცა ჩაივლის მეტეხთან მტკვარი.  
იქ ოდეს მდგარი  
ჩინარი კივის:  
ისე, ვითარც მე, გვიან თუ ადრე,  
მოვა და იგი წაიყვანს  
ტივით,  
პოემანზე მდგარ თბილისის ჭადრებს.

1987



\*\*\*

ଫଲଜ୍ଞାକଲ୍ୟୁଲୋ ତେବେରଗାଲୋ –  
 ଅନ୍ଧାର ଫାନ୍ଦିଗ୍ରେ ତମାଳୋସ  
 ଫାନ୍ଦିଗ୍ରେଲ୍ସ.  
 ଶେମେଗେବା ଖଲ୍ବା ଖଲ୍ବକ୍ଷେନିତ.  
 ଚିନ୍ତା ଉରିବେଳୀ ଫଲାନ୍ତିରି,  
 ମତଗାରିତାଦ ଫାନ୍ଦିଗ୍ରେଲୋ.

1972



\*\*\*

ზღვა ბობოქრობს მგოსანთა  
და სურთ აფრის აშვება.  
შენ კი ხელში გიჭირავს  
პოეზიის სადავე.  
სადღაც, შორეთს მიჰქრიან  
შენი ლექსის რაშები  
და თან მიაქვთ მსოფლიოს  
ციურ აზრთა ნადავლი.

1998



## სიკვდილის აზე

ჩემი შავი დღეები –  
 მოვლენ ღამეებიდან  
 ფეხაკრეფით ისე, ვით უჩინარი  
 ქურდები,  
 რომ მომპარონ კუთვნილი  
 დრო-ჟამი და მანძილი...  
 სიკვდილის წინ,  
 ბობოქარ –  
 შავ ზღვას მივეყუდები,  
 რომ აკვანები მირწიოს და  
 ტკბილად ჩამაძინოს.

2005



## შცებ წარმართთა ხმები მოღილდა

კოლხებს უფალი სწამდათ ოდიდან...

უცებ წარმართთა ხმები

მოღილდა,

ლოცვა-ვედრების დგება ალმური.

მუხლმოდრეკილი მივალ –

ჭყონდიდთან,

მსხვერპლად შეგწირავ –

“კოლხურ ფსალმუნებს”.

1967



## სოფლად

ეხლში გაჩრია დეკემბრის ღამეს,  
მთვარის ძვალი, ვით  
არამი ლუქმა.  
ჭიშკრის ბოგირთან ჩამომჯდარი –  
გრძელ სკამზე სოფლად,  
ქვეყნად არყოფნის  
სალამურს უკრავს,  
ფეხშიშველი და საწყალი ყოფნა.


1962



## პოსტილის

მავალს უკვდავებისქენ –  
ქარიშხალი მიშლის მგზავრს,  
მიტომ თავს არ განებებ:  
დედამიწას –  
შიშის ზარს,  
მძგინვარ ზღვათა მპრძანებელს.

1967



\*\*\*

მე ჩემი საჯილდაო ქვა  
(ავდარია თუ დარია),  
უნდა ავწიო ლამაზად,  
ვით იახესარმა –  
მძიმე ლახტს  
რომ “გაუყარნა ქარია”.

2002



## სიმარტოვეში სხედან მგოსნები

მწვერვალზე მზერით,  
ფიქრთა ლოდებით,  
სიზიფესავით დაქანცულები,  
სიმარტოვეში სხედან მგოსნები  
და ჭვრეტენ: მნათთა ჟივილ-ხივილში,  
მოგარე რომ სადღაც –  
მიიფრთოსნება...

1960



## მზე

ჩვენი ფიქრები ნიადაგ,  
ცაში ვარსკვლავებს ერთვიან –  
მოკაშპაშე,  
მოელგარეს.  
ჩვენ მზე გვინდია,  
დმერთია,  
მიტომ ვერ ვუსწორებთ თვალებს.


1961



## ზეირთები და თოლიები

შორით ქარის დანახვაზე,  
ზეირთებმა და თოლიებმა  
მოუმატეს სიკეპლუცეს.  
და ცამ როცა დაიქუხა,  
ზღვამ თაყვანის  
ნიშნად ჟცებ,  
ნაპირთან კვლავ ჩაიმუხლა.

1986



## ზამპახები და ლურჯი ივგი

გაზაფხულების წინ გამხედვარი –  
 ზამბახები და ლურჯი იები,  
 დედამიწიდან ჩუმად ხედავენ:  
 რომ უმოწყალოდ მოვარე –  
 მხედარი,  
 კით დააგელვებს მზით დაჭედილ  
 მერნებს მთიებთა.

1989



## დრო

მზისა და მთვარის ჩაქუჩით ამტვრევს  
დრო,  
დღე და ღამის შავ და თეთრ  
ლებანს.  
სულ უსირცხვილოდ და უბოდიშოდ,  
სიცოცხლის ხელით  
გათლილ კუბოში,  
ცრემლებით მთვრალი  
სიკვდილი წვება.

1993

## თემიდა

მზე და მთვარე პინქბად –  
ხელთუპყრია და დრო-ჟამს  
წონის ნაფერმკრთალები.  
და ახლა რომ შებინდდა,  
ალბათ უფლის თვალები  
აიხვია თემიდან.

1969



## ლოდინის ლოდები

დარდით ჩამოთოვლილი,  
ფიქრთა შავი კედლები  
და ლოდინის ლოდები,  
მწვანე ორქიდებით –  
შენ,  
იქ დაგელოდები.

1997



## მანუჩარ მესამე ათაბაგი

ვინაც დაურღვეველი –  
 რწმენის კოშკი ააგო,  
 ის დღესაც დგას ხერთვისთან,  
 მაგრამ სახე არ უჩანს  
 და... გაჰყურებს მანუჩარ,<sup>1</sup>  
 სამცხე-საათაბაგოს.

1977

---

<sup>1</sup> მანუჩარ III ათაბაგი, რომელიც საკუთარმა ბიძაშ  
 (მუსლიმანმა) ბეჭა ჯაფელმა მოწამლა და ათაბაგის  
 ტახტს დაუუფლა



## სიპგდილი შემნახველი სალაროა

დღეები ოქროს მონეტებია,  
რომელთაც არხეინად ვფლანგავთ,  
რომ ღარიბები ვართ ეს,  
ამის გამოა.

სიკვდილი –

შემნახველი სალაროა,  
სადაც სიცოცხლე შეგვაქვს და  
მერე ვერ გამოგვაქვს.

2004



\*\*\*

შუბლს უნამავდა ცვარივით ოფლი,  
 სისხამ დილიდან გლეხი-ჯაცი  
 ეკიდა ერქვანს  
 და ხნავდა მიწას ღორღიანს,  
 ქვიანს.

რაა ცხოვრება,  
 მას წამის წინ სიცოცხლე ერქვა,  
 ახლა უბედურს არყოფნა  
 ჰქვია.

2004



\*\*\*

მიმქროლავს სიშორის ბილიკით,  
მეხის ხმით  
და ელვის მათრახით,  
შავლება ღრუბელი კაცს მოჰვავს  
ცხენიანს.

დღე  
მთვარეს იფარებს,  
ვით ფოთოლს ადამი,  
რადგან სიშიშვლის რცხვენია.

1979



### ო, საქართველოვ

მაცხოვარივით ჯვარზე გაქრული,  
სიკვდილ-სიცოცხლის  
გრჩები ამარა  
და ჩემში ბუდობს, ვიცი, ორთავე.  
ო, საქართველოვ!...  
სახევ თამარის!  
მე, ძველ კოლხურად,  
მხარზე ისევ გეამბორები.

2003



\*\*\*

შედამების ცას მთვარე,  
უჭირავს,  
ვით არგანი.  
სუფთად გადაწერილი  
დღეა —  
ღამის თარგმანი.

1963



## အအိန္ဒ

გარდასულ ამბავს უყვება  
შვილებს და შვილიშვილებსაც.  
ეალერსება მოხუცი  
მაკრინესაც და ფილესაც.  
კართან ბოლთას სცემს სიკვდილი  
და მეჩხერ კბილებს  
იღესავს.

1998



\*\*\*

ზღვის გზით უვლია —  
ჩემს კოლხ წინაპარს  
და შერჩენია ხსოვნის ფსკერს  
კოჩად, —  
მარადის ცისკენ მზირალი ზღვების.  
ახლა ჟამთ ბინდში გზა ადარ მოჩანს  
და არც ჩავლილთა  
მოისმის ხმები.

1994



\*\*\*

ვითარცა დარეჯანის ძე,  
 მეცა ვარ ქრისტეს  
 ნათლული.  
 და, ღმერთო, იხიც მაღირსე,  
 რომ აღვაშენო ქართული  
 - ბალი, დაგითის<sup>1</sup> ბალისებრ

1963

---

<sup>1</sup> იგულისხმება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა წიგნი – “დავითნი”



## აბზუ-აჭსარ-ენგური

პონტოს სანაპიროზე,  
„როცა უამის უჟამო  
ჩაიმუხლებს დაისი;  
წარსულ დღეთა ებგურის,<sup>1</sup>  
განწირული ხმა ისმის –  
აბზუ<sup>2</sup> –  
აჭსარ<sup>4</sup> –  
ენგურის.<sup>5</sup>

1962 8

---


<sup>1</sup> ებგური – ყარაული, დარაჯი, ტალა  
<sup>2,4,5</sup> – დვთავება – კაგქასიურ პანთეონში



## გაშა, ბალაპტიორნი

ვითარცა დღე,  
ლამიდან,  
მზის ფერიდან მოძვრება  
ელვარება მოცხარის.  
  
ვაუ,  
გალაპტიონი  
იყვნენ შენი მოძღვრები,  
შოთა –  
მოძღვართ-მოძღვარი.

1960



## 0სეპ “გოლეზრი ჭსალმუნები”

პონტოს ღელვიდან აფრენილები,  
ზესთა სამყაროს  
მზედ რომ უვლიან,  
ის “ფსალმუნები” –  
დღის და დამის ფრთებით  
ფრენისოვის,  
ზესივრცული და ზედროულია.

1977



## ქართული სულის პოლიზემი

(ვარიანტი)

მზისშუბოსანი შენი დღეები,  
წმინდა გიორგის ჰევანან  
მეომრებს.  
ვარსკვლავები კი წინაპართა არის  
მუმია.

ერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ:  
შენი “კოლხური ფსალმუნები” –  
ქართული სულის –  
პოლიზემია.

1992



## სულიშმინდის ქნარები

უფლის ლოცვით და ვედრებით,  
თუმც სამოცი მოილიე,  
კვლავ კოლხური დაგცქერს  
მთვარე!

და კვლავ ყვარობ ბასილ დიდის

ჰომილიებს,

ასირიელ ეფრემ დიდს და

დიდ მოციქულ

პავლეს –

სულიშმინდის ქნარებს.

2002



\*\*\*

არაფერი აღარ შველის  
ობოლ კაცობრიობას,  
დარდი ეკიდება ობად.  
სიცოცხლე პგავს –  
ბუნიობას,  
სიგვდილი კი –  
მზებუდობას.

1968



**1968 — 1971**

საქართველოს მთად და ბარად,  
ქაოსი რომ აღარ სუფევს,  
ეს გულს უკლავთ და  
აბრაზებთ —  
სამშობლოს მტრებს და ორგულებს:  
სულიოთ დარიბთ და სნეულებს —  
ონბაზებს,  
იშვილბაზებს,  
თაღლიოთებს და ყალთაბანდებს,  
და თოკიდან გაქცევულებს.

1968



## ორიათასწლეულის

მზერას აღარ მაშორებს

ჩემი ღმერთი –

მორიგე,

რადგან მისით ვიწყები.

ორიათასწლეულის მერეც

მთაზე ქორიბის,

მაყვლის ბუჩქთან დანთებულ

ცეცხლის ალს ვეფიცხები.

2001



## პრაილის შრიფტი

სადღაც ადმოსავლეთით  
მთვარე მოჩანს ანფასით,  
ალბათ დამეს დაივლის.

ქართული ცის დაფაზე –  
უფლის ხელით ნაწერი  
გარსკვლავები –  
შრიფტი არის ბრაილის.

1966



## ათასწლეულები

მსრბოლავ ათასწლეულებს –  
 აღარ უჩანს თავი და ბოლო  
 და ...ურანოსი ისე სდევს ქრონოსს,  
 ქრონოსი – ზევსს და...  
 ზევსი კი ქრისტეს...  
 და ასე შემდეგ...  
 ციო ისმის ხმები:  
 სამყაროვ, შესდექ!

1970



## ლოდინი

ბრძოლებს ბოლო არ უჩანს...  
და შენც იბრძვი...  
არ გწყინდება...  
ცეცხლის ალით მოყვავილე  
მაყვლის ბუჩქთან,  
კვლავ მოედი საქართველოს  
გაბრწყინებას.

1975



## გერბეთის პეტლები

“ერთ ოქროს აკვან იდგოდ,

შიგან ყმაწვილ იწვავ”.

გახუა მეგრელაური

რა ჰეროდე...

აქ ადრეზი ადრეზს მისდევს...

სულში დამე ედგათ ქისტებს.

მყინვარი კი ენთო სანთლად.

ყარაულად იდგა ბერი დარიალი.

და ბაგაში კი არადა,

გერბეთის მთის დიდ ბეთლემში

იშვა ქრისტე,

ოქროს აკვანს ყრმას ურწევდა მარიამი.

1975



## გითარცა ტაძარი ნეპრესის

შენი “ფსალმუნი” –

ქართულ ცას,  
მზის შვილობას შესთხოვს  
და შეკვესის,  
რადგანაც იგი ლოცვით  
ნაგებია,  
ვითარცა ტაძარი ნეპრესის (VI b.)

1991



## ჯობონდა

ყოფნა-არყოფნის  
სიცხით და ციებით,  
იღუმალ ღიმილით –  
სამყაროს პრბოთათვის,  
ქრისტეს ინიციაცები  
მოჰქონდა  
ჯოკონდა!

1979



## ვაჟობილე

დედამიწას გარშემო  
ბევრჯერ შემოურბინე,  
თავი რომ შეაყვარო.  
დრო მოვა და სამყარო  
დალევს კოლხურ წყერგილეს.<sup>1</sup>

1959

---

<sup>1</sup> ჭის – გრილი, ციცი წყალი.



2003

ცა სავსეა ვარსკვლავებით  
და ავგიას არ ჰგავს თავლას,  
მაგრამ, დედა!  
მაღრჩობს ბოლმა,  
- ოცი წელი მიინავლა,  
რომ გალმა ხარ,  
ბე - გამოლმა.

2003



\*\*\*

სულ სხვადა შენი ქართული  
სიტყვა,  
სიტყვაზე მეტს იტევს,  
სიბრძნის ამაღის მხლებელი...  
სარ ზესთა-ზესის  
მესიტყვა,  
“მსაჯული, მჯავრის მდებელი”. (ესაია)

1969



## დხარმა-რაღუა<sup>1</sup> და იამა<sup>2</sup>

კარმის სარკეს ჩაჰურებენ  
 დხარმა-რაღუა და  
 იამა.

და ხედავენ, განგის პირას,  
 როგორ ჭრიან საკუბოოდ –  
 მუხას არა,  
 ხეს – საქსაულს  
 და ხვდებიან სიკვდილს,  
 როგორც  
 სიცოცხლის დიდ დღესასწაულს.

<sup>1</sup> დხარმა-რაღუა (ტიბეტ) – მიცვალებულთა მოსამარ-

<sup>2</sup> იამა –(ინდ) – სიკვდილის ღმერთი

1970

## სულიერი სხეული

ჩაუქროლებს პლანეტებს,  
ფრენას მუდამ ჩვეული,  
დღის და ღამის ფრთიანი –  
შენი, მზით შემოსილი –  
სულიერი სხეული...

1972



\*\*\*

ასე იყო:

შენ უდმერთო

დმერთებთან –

სულ გქონდა ომი...

სწორედ მაშინ მოინდომა ზევსმა

დასჯა,

როცა თვითონ აპოლონი –

გისინჯავდა გულს და მაჯას.


1966



## ნილოსის და ოდერის

უამი ჭირს და ფათერაკს,  
ისე, როგორც ცხვრის ფარას  
მოკვდავთათვის მოდენის...  
შენ ბუზსაც ვერ აგიფრენს,  
რადგან უძვირფასესი  
შენში ჩუმად ბინადრობს  
სული მტკვრის და  
ფაზისის,  
ნილოსის და  
ოდერის.

1963



## ქრისტეს მხედარს და მჭიბნობარს

ათასი წლის მერო პონტო,  
ფაზისის დიდ ბროილს ყანწით  
კვლავ დალევს შენს შესანდობარს.  
და... კოლხეთიც მოგიგონებს –  
“ქრისტეს მხედარს”  
და მწიგნობარს.

1986



\*\*\*

სიცოცხლეც და სიკვდილიც –  
ტირიან და მღერიან,  
რადან ქვექნად ორივე,  
ვით ყოფნა და არყოფნა –  
ნათლისღების  
ფერია.

1973



## ხილვა: “ათი ქალაჭული”

ოცზე მეტი საუკუნე

მიინავლა...

მიიღია...

რაც უნთებენ მზით ჩამოქნილ

თაფლის სანთლებს,

კვლავ მის სიგრძეს.

და... ვჭვრებ: ათი ქალწულთაგან,

ხუთი ისევ ელის სიძეს.

1969



## მეცამეტე ცის თაღი

სულ სხვა ფერით ელგარებს  
მეცამეტე ცის თაღი  
და შენ ერთს იქ –  
გეგულვის,  
სხივთა კრთომა ფარული.  
ზე – სიმაღლე მთებური  
და გონი ზენარული.

1984



## ვიქრო – ელვა

შენი ფიქრი ელვაა  
და კოსმიურ ქროლაში,  
ჟანგს არასდროს მოიღებს,  
მიტომ სტუმრობს –  
ხშირ-ხშირად –  
მზეებსა და მთვარეებს,  
მბრწყინავ ასტეროიდებს.

1978



## ჰებავის ოქროს თავთავი

მიმწუხოდან –

დილამდე,

საქართველოს ცის თაღზე –

ჰებავის ოქროს თავთავი...

ქვეყნად მზის და სინათლის –

უფალია სათავე.

1967



## ორგევსის ჩანბი

რწმენის აგურით ნაშენი ტაძარი –  
ორფევსის ჩანგია,  
ლოცვები ოქროს სიმებია –  
უფლის სადიდებლად –  
გაბმული.

1972



60

მიიღია სამოციც,  
რომ სიკვდილმა,  
სიცოცხლე,  
გერ იქნა, გერ მოგპარა.  
რადგან ღმერთს ადუვლინე  
კონდაკიც და  
ტროპარიც.

2001



\*\*\*

გინც ლოცვით და  
 სიყვარულით,  
 მიუსხდება უფლის სუფრას,  
 ის ცეცხლსა და გაჰენიას,  
 ადარ უნდა შიშობდეს!  
 გინც ნუგეშს სცემს  
 ჭირისუფალს,  
 ის მადლს სწირავს ღვთისმშობელს.

1972



\*\*\*

სიმაღლე და

სინათლე —

ვარსკვლავებმა შეგინდეს!

ბრწყინავს ზეცის კარიბჭე,

დავიწყების ველ-მინდვრებს

შვიდგზის გადააბიჯე.

1966



## ნაგადულივით იდინოს

სანამ ხარ, ესე სოფელი,  
არ უნდა ჰგავდეს ნასუფრალს!  
პირიქით...  
ცერზე, ვით მარებს,  
მზე უნდა გესვას მიმინოდ,  
რომ სიხარულად ამ სოფლად  
ნაკადულივით  
იდინოს.

1975



2000

ოცჯერ ასი წელია,  
რაც გერგეთის ბეთლემში  
დღე და დამე დავეძებ –  
ქრისტეს ოქროს აკვანს და  
ვერცხლის კარავს აბრამის.  
რაც ქართველთა მოშურნედ  
და მტრებს ასე აბრმავებთ.

2000



## ბაზარული – 1983

ქარებით თმაგაწეწილი,  
სახედაკაწრული ელვით –  
დგას ჭიშკართან გაზაფხული,  
დედაჩემის თვალებივით ცრემლით  
სველი,  
დედაჩემის ქაბასავით  
დათალხული.

1981



\*\*\*

გაზაფხულის სიმღვანედ  
უონავს ხმები –  
ვასაკის.  
პოი, რა საღამოა!  
სივრცე –  
უსამანოა,  
ჟამი კი – უასაკო!

1960



## ოლქეპებს და ჩაგინებს

როდის იყვნენ, ვინ იცის,  
 ჩვენი “ეა<sup>1</sup>”, “აია<sup>1</sup>”,  
 მაგრამ ათასწლეულებს  
 ითვლის “პუტაია<sup>2</sup>”...  
 უფლის ხატი ატყვია  
 კოლხურ ოდის აივნებს.  
 რა ხელი აქვთ კოლხებთან  
 ოლმეგებს<sup>3</sup> და ჩაგინებს<sup>3</sup>!?

1968

<sup>1</sup> პრეისტორიული კოლხური ქალაქ-სახელმწიფოები.

<sup>2</sup> ქუთაისი – 3500 წლისაა.

<sup>3</sup> ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მშენებელი  
 ხალხები (ძვ.წ.X-ს.)

## ირმის ნახტომი

რადგანაც სამყარო ომია,  
ისმის ქუხილის ხმები.  
და შენი ლოდინით დაღლილი

—

ათასწლეულები წინ არი.  
“კოლხური ფსალმუნები” —  
ირმის ნახტომია,  
მილიარდ ვარსკვლავით მბრწყინავი,  
ნაწერი სინათლის წლებით.

1989



ရွှေ့သတ္တာလျှေး,  
နာနာတော်လျှေး,  
ဖြူ့ရှုံးတာဂေါ်လျှေး

ရိပိုင် အပြုံးမျှလျော်း၊  
ဝါး၊  
ဒုက္ခ၊ ၌အမျိုး  
နှာ လျော်းနှာပဲ ဗျား  
ဝါး၊ ဒုက္ခ၊ စာမျိုးပဲး  
ရွှေ့သတ္တာလျှေး၊  
နာနာတော်လျှေး နှာ  
ဖြူ့ရှုံးတာဂေါ်လျှေး.

1967



## ადრიდა

ქართველი თავს უფალს ადრიდა,  
ადრიდან...  
“ადრიდა... ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე  
გვეყუდნეს”  
და “ერი ერობდის,  
გული გულობდის,  
ვაჟი ვაჟაბდის,  
ქალაქი ქალაბდის... ადრიდა”...  
“ადრიდა” – ე.ი. თავიდან!  
ახლა მზე დასავლით  
ჩავიდა!!!

1971



## ბზაა შოორეული

თუმც ცაა – ვარსკვლავიერი,  
მგზავრობა –  
არ იქნება იოლი!  
მიხვალ სიყვარულით სნეული.  
სივრცეა – უსამანო...  
გზაა – შორეული –  
სინათლის წელი,  
სულ რამდენიმე ტრილიონი.

2016



მითოსს,  
მისტიკას  
და მისტერიებს

უხმობ შორეულ წარსულიდან –  
ცის ანგელოზებს  
და ზღვის ფერიებს  
და სიყვარულით იგერიებთ:  
კოლხურ,  
რომაულ  
და ბერძნულ –  
მითოსს,  
მისტიკას და მისტერიებს.

1960



## ჩე გოლა

“სადაც შენ დასაულავდები,  
ყველგან მთაწმინდა იქნება!”  
ვაჟა ეგრისელი.

მესიზმრა: უცებ მოვკვდი და...  
ჩემმა მზის შვილმა  
კოლხებმა,  
კუბო მძლე მხრებზე შეიდგეს!  
- ჩე გოლას<sup>1</sup> მიმასვენებენ,  
ვით პოეტს, არქეოლოგს და,  
პოეტს, ვითარც მარჯშეიდერს<sup>2</sup>.

1961

---

<sup>1</sup> ჩე გოლა (მეგრ.) – თეთრი მთა, სამეგრელოში.  
<sup>2</sup> მარჯშეიდერი (გერმ.) – სამთო ინჟინერი.

## პოეტი და რაინდი

გულიოთ დაგიტირებენ  
სწორები და ტოლები...  
მაშინ რა ეშველებათ  
შენს ტრფიალ ქალბატონებს,  
როცა არ ეყოლები,  
პოეტი და რაინდი<sup>1</sup>,  
ოქროს გულის პატრონი!

2012

---

<sup>1</sup> P.S. ვაჟა ეგრისელს მინიჭებული პქონდა “ქართული პოეზიის რაინდის” წოდება.



## გეთელავიზი და რიბელი

ვარსკვლავების ბილიკზე,  
 ბევრჯერ ფეხი დაგიცდა,  
 მაგრამ შენი “დამის ცა”  
 ისევ ისე მიგელის,  
 რადგან იგი სავსეა –  
 წითელ ბეტელპეიზით<sup>1</sup>  
 და ლურჯ-თეთრი რიგელით.

1968

---

<sup>1</sup> ცის ყველაზე პაშაშა ვარსკვლავები.



## გოლჩური მუსონები

შოთა რეზაული წარსულიდან,

ლამით არა,

მოვა დილით,

რადგან ზღვის ღმერთს ჰყეარებია,

“ფსალმუნები” კი არა და...

კოლხეთიდან მოვარდნილი,

მუსონური<sup>1</sup> ქარებია.

1988

---

<sup>1</sup> მასიური სეზონური ქარები.

\*\*\*

სიმყუდროვე ზესკნელის –  
მნათთა წვიმად ჩამოდის  
და ახლავს ცის ნაღველი...  
დედამიწის –  
სიმარტოვე აღელვებს.  
მთვარის ზღვებს და  
მზეთა – ოკეანეებს.

1971



## პართენოგენეზი

მხოლოდ ჩემს “ფსალსმუნებში”,  
სხვაგან ვედარ იხილავთ –  
(რათუნდ დამე ათენოთ!)  
ჩინეთის დიდ კედელს და,  
ათენის ზე-პართენონს<sup>1</sup>.

1993

---

<sup>1</sup> პართენოგენეზი (ბერძ.) – ქალწული და დაბადება, წარმოშობა.



\*\*\*

შენი,

ვითარცა ტარიელი,  
გულს წესილით იოხებდი...  
სიყვარულით გაჭრილს ველად,  
ვეფხის ტყავი ტანზე გეცვა,  
ვით სამოსი იოსების.

2004



## ყოვნის შამი ცარცული

ეს შენა ხარ, პოეტო,  
ბინადარი წარსულის.  
შენ გახსოვს ცა კოლხეთის –  
ათასჯერ გაძარცვული!  
მიტომ აღარ გასვენებს,  
მისი მივიწყებული –  
ყოვნის ქამი ცარცული<sup>1</sup>.

1979

---

<sup>1</sup> გეოლოგიური წელთაღრიცხვის მეზოზოური ერის  
უკანასკნელი პერიოდი. (146-65 მლნ.წ.)



## პილიმანჯაროს მთებიდან

რა არის კაცის ცხოვრება,  
ვინ თქვას სიმართლე  
სოფლისა?!  
და აი, ახლა არაგვთან,  
როცა უეცრად შებინდდა.  
ფიქრში მომექმა თოვის ხმა,  
კილიმანჯაროს მთებიდან.

1964



## ვლამინგოვები

შენი ციცქნა სტრიქონების  
ხმა,

ზღვებს მიღმა გაიგონეს,  
რადგან ჰგავდნენ ფრენით დაღლილ  
და იმედით ყელებგაწვდილ –  
გრძელკისერა –  
ფლამინგოებს.

1961



\*\*\*

შვიდგზის ხარ მომხილველი –  
 აღმოსავლეთ –  
 დასავლის  
 ყველა პოლუს-განედის!  
 ყველგან ოქროდ მოჰვინე –  
 შენი ხმათა ხაგერდი,  
 ქვეყნად ღმერთი ერთია –  
 ქრისტე...  
 თუ მუპამედი.

1992

## ოყალბარსა და პელიშმს

პოეზიის ცის თაღზე  
ჩემო,  
შენი ფიქრები –  
ჩანს ნახტომად ირემის,  
დამეებს რომ სინათლედ –  
ათასჯერ რომ შეუვლის.  
და ბრწყინავენ მნათებად,  
რადგან “მე”-ში ირევენ –  
წყალბადსა და  
პელიშმს.

1967



## რაშმორის მთა

ახლა მგოსნის ფიქრები  
 დედამიწას ადნება:  
 - რა ახლოა,  
 რა შორი! –

მთები კავკასიონის,  
 ანდა მთები ანდების,  
 ურთას მთა და ჩე გოლა,  
 რომ იდგეს შენს ხატებად,  
 ვითარც მთები რაშმორის<sup>1</sup>.

1983

---

<sup>1</sup> P.S. 1927-1941 წლებში 400 მუშა დაუდალავად შრომობდა აშშ-ის ოთხი პრეზიდენტის გამოსახულების ამოსაკვეთად რაშმორის მთის გრანიტის ფერდობზე სამხრეთ დაკოტაში (აშშ).



## ჩვამები და გარევები

პალიასტომის ტბის პირას  
ისმის ჩუმი ყაყანი –  
ჩვამების და გარევების,  
თითქოს ერთურთს უბნობენ:  
- არვინ უწყის ღვთის გარდა,  
კინ სად დავიმარხებით.

1958



## ანტარქტიდა

ყინულოვან ოკეანეს,  
 ოოს წარსული გავუხეხნე:  
 - გაიღვიძა ხსოვნამ კუკის<sup>1</sup>,  
 მოუსონის<sup>2</sup>,  
 სქოთის<sup>3</sup>,  
 უილსპ<sup>4</sup>  
 და შეკლტონის<sup>5</sup>.

ზღვა აღელდა ამუნდსენის<sup>6</sup>.

1981

<sup>1</sup> ჯეიმს კუკი.

<sup>2</sup> სერ დუგლას მოუსონი.

<sup>3</sup> რობერტ ფალკონ სქოთი.

<sup>4</sup> ჩარლზ უილსკი.

<sup>5</sup> ერნესტ შეკლტონი.

<sup>6</sup> რუალ ამუნდსენი — ანტარქტიდის სახელოვანი მკვლევარები.

## ებრისელის “ღამის ცა”

თუ აღარ გსურს სამყარო,  
სულ მთლად გადაირიოს,  
ნუდარ დაემსგავსები –  
ეგრისელის “ღამის ცას<sup>1</sup>”,  
“მონაირე ირიონს<sup>2</sup>”.

---

<sup>1</sup>ყველაზე კაშკაშა თანაგარსკვლავები.



## რეპტილიები


მიღიონი წლის ხვლიკები,  
 გუშინდელი გეგონება,  
 თუმცა უამი მეტი ლიქს..  
 ჯუჭა ლექსთა გეგონები<sup>1</sup> –  
 პგვანან პირველ  
 რეპტილიები<sup>2</sup>.

1963

---

<sup>1</sup> გეგონი – ხვლიკის სახეობა

<sup>2</sup> P.S. უძველესი რეპტილიები (კუები, ნიანგები, ხვლიკები) 210 მლნ წლის წინათ არსებობდნენ და 20 სა სიგრძის იყვნენ.



## სტოზნევნჯები

(ვარიანტი)

შპვდავება რომ ახურავთ,  
გიგანტური ლოდებია,  
განა კენჭებია.  
შენი “ფსასლმუნები” კი,  
ოთხიათასწლეულის  
მერე კოლხეთს ნაგები,  
პაწაწინა სტოუნცენჯებია.

1980



## შრის ზიქურათი

წარსულის ცას ზოგჯერ სახე,  
 მოთხუპნული პქონდა მურით,  
 და თბებოდა მზის ქურათი...  
 თუმც ყვაოდა მიწა –  
     ურის,  
 ლოცვად იდგა ზიქურათი<sup>1</sup>.

1964

---

<sup>1</sup> უდიდესი ტაძარი ქალაქ ურში (თანამედროვე ერავი) დაწ. 2600-500.



## ლოდინი

პომეროსს,  
რუსთაველს  
და ვაჟას,  
კითხულობს სამყარო  
და... წამით მუნჯდება...  
წლებიც სულს დაფავენ!  
ელიან ახალი ფუნჯები –  
მიქელანჯელოს,  
და ვინჩის  
და რაფაელს


1972



## ტრიტონებს და სალამანდრებს

ცად ოქროსფერ ქვირითს დაყრის,  
სიჩუმეში  
სანამ ადრე.  
მანამ ღამე ჩეკს გარსპვლავთა –  
თავკომბალა ამფიბიებს,  
ტრიტონებს და სალამანდრებს.

1959



## სიყვარულის “სამკერდული”

შენ რაცა გაქვს –  
სიყვარულის,  
ამდენი თვალ-მარგალიტი,  
ტოპაზი და საფირონი,  
არ ჰქონია ძველ “სამკერდულს”-  
თვით მოსეს ძმის –  
აარონის.

1971



## რობორც პტოლემეონი

ვარსკვლავებით დათესილ  
 მოოქროვილ მზის ყანას,  
 გსურს ნიადაგ იმკიდე,  
 ბოლოს არა,  
 შუაწელში,  
 საუკუნის მეოცის.  
 შესციცინებ ცის კიდეს,  
 როგორც პტოლემეონი<sup>1</sup>.

1969

---

<sup>1</sup> ბერძენი ასტრონომი.

## 800 პობრა და ანაპონდა

ასე კარგს და

ასეთ ლამაზს,

სიყვარული თან დაგქონდა!

თუმცა სიტყვის შხამით

კლავდი -

სამშობლოზე მღოცეველ მგოსანს,

გით კობრა და

ანაკონდა.

1959



## ხმა

“ქართულ ენას სულ გავლექსავ,  
სანამ სამარტი ჩავალ”.

იეთმი გურჯი

ჟამს მიმწუხრისას ხმა ისმის –  
ორთაჭალის ძველ ბადიდან,  
ვიღაც ბოგანო-ეულის:  
- გარ წარსულიდან მოსული  
ლვინით,  
ქალებით,  
ზურნებით!  
ლექსებითაც გარ სნული,  
აწი ვერ განვიპურნები.

1960



შრანოსს,  
ნეპტუნს  
და კლუტოს

მიწა კვლავ უთვალითვალებს,  
ვით შორეულ ნათესავს.  
სურს, რომ სიყვარულით –  
გაწევოს და  
გაპუტოს,  
მაგრამ ახლოს ვერ წვდება  
ურანოსს...  
ნეპტუნს და კლუტონს.

1963



## ლეჭა

დუმს სიკვდილი უდალატო,  
 მოკვდავთ მხსნელი  
 და ერთგული.  
 ძირს-ქვეშეთში ალბათ ლეტა<sup>1</sup>,  
 (გულგამპობი წყვდიად-ბნელთა)  
 მიბობოქრობს, ვით ენგური.

1964

---

<sup>1</sup> ლეტა (ბერძ.) – მიწისქვეშა სამეფოს თავდავიწყების მდინარე.



## ოთხთავი

პვლავ ანთია სანთლებად –  
ქრისტეს სისხლით ნათესი,  
სახარება ოთხივე:  
ოოანეს,  
ლუკასი,  
მარკოზის და  
მათესი.

1963



## აფშურის ღვთისმშობლის ხატი

აშ გარდასულს იმქვეყნად,  
სიცოცხლეს კვლავ მაწყურებს,  
ლუპა მახარებელის  
ოქრო ხელით ნაწერი –  
მარიამ ღვთისმშობელის  
წმინდა ხატი აწყურის.

2016



## სათხოების მფვერგალი

ათასჭირგამოვლილი,  
ათასდამენათევი!  
ისევ ისე ელვარებს –  
შენი “იქმენ ნათელი!”<sup>1</sup> –  
სათხოების –  
მწვერვალი.

1993

---

<sup>1</sup> ეგრისელის ათასგვერდიანი ერთტომელი (1993 წ.)



## შმინდა ნაზერები

ცისქვეშ ასწლეულები,  
ლოცვის არტახებიან  
ოწმენის კედლებს არწევენ...  
შენ კი ისევ დიდგულებ,  
რადგან ჩუმად კითხულობ –  
ციურ –  
“წმინდა ნაწერებს”.

1960



\*\*\*

სადღაც ჯოჯოხეთშია –  
ცოდვილ სულთა საკირე!  
შენ კი ქცევა გსურს ორბად.  
მიტომ აღარ გაკვირვებს –  
ისლით დახურულ ქოხში  
ქრისტეს ხშირი  
სტუმრობა.

1958



## ოროვანდა, ორბბილა

არყოფნიდან მოსული,  
ჰგავხარ ცბიერ ყოფნასთან  
მოჩხუბარს და  
მორკინალს.  
ბაძავ ოროვანდას<sup>1</sup> და  
თესლურას<sup>1</sup> და  
ორკბილას<sup>1</sup>.

1962

---

<sup>1</sup> მცენარეები, რომლებიც ეკვრიან ცოცხალ ორგანიზმს  
და არ შორდებიან



## იბერები

აღმოსავლეთ,  
დასავლეთის,  
ძმები იყვნენ იბერები.  
კოლხეთსა და ფშავ-ხევსურეთს  
მრავლდებოდნენ...  
იბევრებდნენ...  
დიდი მთები იდგნენ ლოცვად...  
უფლის რწმენა ახლაც “ვალუნს”<sup>1</sup>.  
ფშავ-ხევსურეთს ახლაც კოცნის  
“არაგვი”<sup>2</sup> და “ჭიჭე დალუ”<sup>3</sup>.

1994

<sup>1</sup> “ვალუნს” (მეგრ) – ელავს

<sup>2</sup> “არაგვი” (მეგრ) – ეტაპე (აღბათ მთებს)

<sup>3</sup> “ჭიჭე დალუ” (მეგრ) – პატარა დელუ (ჯ. ლომაშვილი)  
ფშავშია



\*\*\*

პონტოს ქაფიდან კოლხეთს ნაშობი,  
 სიცვლილთან მარად  
     შეურიგალი,  
 თუმც ამქვეყნიურ ყოფნის მგმობელი,  
     კაცი კი არა,  
     შენ ხარ გრიგალი,  
 ცის,  
 მიწისა და ზღვათა მპყრობელი.

2001



## ვანეძა მიწაზე

წარსულიდან კვნესა მესმის

და...

გოლგოთას შევუვლი

(არც ჯვარი ჩანს და არც ბორცვი!)

და მაინც ძველ ნაიარებს –

ქრისტეს –

ლოცვით,

კვლავ ვუშუშებ... მერე,

გვიან –

ორიათასწლეულის.

1983



## მთვარის ძუბო

ცის დათალხულ ბალდახინზე  
 ჩამომდგარი მთვარის კუბო,  
 სასვენებელს ჰგავს ლაზარეს.  
 (ოვალს უსველებს ღრუბლებს ცრემლი)  
 აღარა ჩანს ქრისტე ღმერთი  
 და მწუხარე მნათთა მრევლი,  
 მის აღდგენას ითხოვს მკვდრეთით.

1964



## პლატონის და პლუტონის

პეგასს ვეღარ უჰერს აღვირს,  
თავს დმერთკაცებს უტოლებს.  
თუმცა იცის, ლანდად არ ღირს:  
პითაგორას,  
პროთაგორას,  
პლატონის და პლუტონის.

2001



## სულთათანა

პირველყოფილ სიყვარულით,  
როს სიცოცხლის კარს მიხურავ  
და წაიღებ დარდსა და ცრემლს  
გულთა თანაც.  
მაშინ, ჩემო! ცა კოლხური –  
გარსკვლავებით მიგალობებს  
სულთათანას.

2002



\*\*\*

ვარსკვლავების ასოებით —

ზეცა ქრისტეს მოჰვავს

ნაწერს.

ლამაზია ეს ქვეყანა...

და ვინც პირმშოს უმდერს “ნანას”,

ის

იქსოს აკვანს არწევს.

1960



## ବୋଲିଗା: କରିଲାହା

ଅମ ଉଦ୍‌ବେଦ୍ୟର,  
ରୂପକ୍ଷିର ଫରନ୍ଦି,  
ଫାଁଦିନା ରଖିଲେନା ଫା ଗେନାବୋ.  
ମାନିବ ପିଲାତ ଲାଗିଲାମିଶାଗମା,  
ଶର୍ମାଲାଲବା ମନ୍ଦିରିଜିଲେ ଗରନ୍ଦି  
ଫା...  
ମହ କରିଲାହା ଫାଗିନାବେ.

1957



\*\*\*

ლოცვით და ლოდინით დაღლილი –  
თვალები ცრემლებით  
გევსება.  
ოცნებას ახდენა გვიან პყვარებია.  
თუმც შენი –  
ეს ციცქნა ლექსები –  
ციცქნა გრიგალები და  
ნიაგარებია.

1968



## 06

ასწლეულებს ის სულ ითვლის,  
 გინაც უფლის სიყვარულით  
 იმარხულა და  
 ითმინა.  
 ვინც აკვდინებს ხორცს –  
 სულისთვის,  
 ის ქრისტესთან ჰპოვებს ბინას.

1972



## ჰე, კოლხეთო!

თავის დროზე ვერ მოგხედეს!!!

და რაც გქონდა “საგანძურო”,

ყველაფერი მოგტაცეს და...

მერე მტერთა შურმა შერყვნა,

შეარყია და

შესუდრა!

თორემ, ჩემო! –

ჰე, კოლხეთო!

რაც რამ იყო კარგი ქვეყნად,

ვარქმევდი შენს ოქროს

სახელს,

ყველაფერი შენთვის მსურდა.

1973



## ლუნიებს და ოდიშვილებს

კვლავ მწუხარედ დასცქერს ოდი<sup>1</sup>

იქ – ენგურის,

აქ – არაგვის,

დავიწყების ლოდს მიშლილებს –

გვარებს:

ეგრისელაშვილებს,<sup>2</sup>

ლუნიებს<sup>3</sup> და

ოდიშვილებს.

1969

<sup>1</sup> ოდი – მთვარის დვთაება კოლხურ პანთეონში

<sup>2</sup> ეგრისი – პრეისტორიული კოლხეთი

<sup>3</sup> ლუნია – ლელო ლუნია – “მგზავრის წერილები”  
(o. ჭავჭავაძე)

## სუპერბიბანტი

სული გმირი მგოსნების –

ცად მნათებად ანთია,

დროა მათი მსაჯული.

შენი “იქმენ ნათელი!”

ზღვის ღელვას მიჯაჭვული

სუპერგიგანტია.

1993



## ორი ანგელოზი

სათნოების ცის თაღზე,  
 უფლის გამოკვეთილი –  
 გვითვალთვალებს,  
 გვფარველობს,  
 ანგელოზი – კეთილი!  
 მაგრამ იმავე ციდან  
 (გვიმძიმს ამის ატანა!),  
 მზერას აღარ გვაშორებს  
 ანგელოზი –  
 სატანა.

1977



\*\*\*

სამოთხეში პპოვებს ბინას,  
ვინც საფრენად ფრთებს რომ გაშლის,  
და სიცოცხლეს დააჩნდება მზე –  
იარად.  
ის, ვინც, თუნდაც ოცნებაში,  
ქრისტეს ტრაპეზს ეზიარა.

1967



\*\*\*

მიწაზე და მაღლა ცაში,  
 ვინც ილოცა მასზე შვიდგზის,  
 ღმერთმა ყველაფერი უწყის  
 და... ყველანი აცხონა!  
 ვინც უპოვარს ხელს გაუწვდის,  
 ის ფეხებს ბანს მაცხოვარს.

1987



## ღმერთია მოწყალე

მთვარიდან,

ვით დევის კოშკიდან,

მიმქრალი ნათელი გამოკრთის  
და გამყიფარი ხმა ისმის:

- წინ გგჰენიაა...

ცეცხლი და ორწყალი!

იარე...

ღმერთია მოწყალე!

1959



\*\*\*

მლოცველს უფლის რწმენისათვის,  
როცა უმოწყალოდ ცემენ!!!  
მათ არ უწყით,  
რომ ისინი,  
მას კი არა,  
ქრისტეს ნათლულს, –  
ჯოხს ურტყამენ –  
იოანე ნათლისმცემელს.

1968



## თეთრი და შავი არაგვი

ორი არაგვი —

შავი და თეთრი,  
ისე, ვით ორი მზეთუნახავი,  
დევს,  
ფშავ-ხევსურეთის მთის კოშკში  
ჰყავს გამოკეტილი!  
და ის ბაყბაყი, ზოგჯერ კეთილი,  
ავ სიზმრებს ხედავს!  
(პკლავს სიმარტოვე!)

თეთრ არაგვს —

ამბის გასაგებად  
მიარბენს მცხეთას,  
და შავ არაგვს კი  
(ვით პაატას!)

მძევლად იტოვებს.

1973

## სული პაცობრიობის

მიღიარდი წლის მიღმა  
 დამისა და დღის იქით,  
 მოჩანს რაღაც დიობი,  
 სადაც, როგორც ფრინველი,  
 თურმე, ისევ ბინადრობს  
 სული კაცობრიობის.  
 და... მის ხილვას მოელი,  
 მოთმინებით იობის.

1964



\*\*\*

ვინც ტაძარში სანთელს ანთებს,  
ყოველ შაბათს,  
ყოველ კვირას.  
და უფლისთვის ტაბლას გაშლის  
და სიმდაბლით –  
დმერთს მაღლს  
სწირავს,  
ის სუვერას პპოვებს ცაში.

1960



## შიგნივრობელი – “იქმენ ნათელი!”

რწმუნის ციდან ისევ ჟონავს, –

მადლი ღვთისა

და მირონი.

ბნელ წარსულში თვალს ახელენ –

საქმეები –

საგმირონი.

და... ეს წიგნი კი არა და,

კოშკი არის ბაბილონის.

1994



\*\*\*

ცის ტაძარში მწუხერის მთვარე,  
მნათთა კლავიშებზე უკრავს  
და დღეები დღეებს  
მისდევს...  
ვინც მშიერს როს უყოფს ლუკმას,  
ის მასპინძლობს თვითონ  
ქრისტეს.

1960



## ოდი


ქვეყნის გაჩენიდან,  
ოდით,  
კოლხეთს დანათოდა ოდი,<sup>1</sup>  
შენც მოხველ და... შეერკინე –  
გოლიათებს და ტიტანებს.  
და...

სიზიფეს ქვა თუ ლოდი,  
მთის მწვერვალზე აიტანე.

1959

---

<sup>1</sup> მთვარის ღვთაება კოლხურ პანთეონში.



\*\*\*

ღმერთის სიყვარულისათვის,  
ჯვარცმა,  
წამოხმობა ელის,  
ციხარტყელა უჩანს ყულფად!  
და მაინც კი,  
ვით იობი,  
ის ამისთვის მადლობს უფალს.

1975



\*\*\*

ბრალი არის,

ვინც დააბა ბედმა ბაგას,

მერე აწვალ-აცხოვრა.

ხოლო ვინაც მარხვითა და

კრძალულობით,

თავი იხსნა ამქეყნიურ

ვნებისაგან,

ის მსახურებს სამ მეფეს და

მაცხოვარს.

1969



## გეზვი

არ წყვეტს ცეცხლი ხეტიალს,  
ასწლეულზე მეტია,  
მიწა –  
პირით ვეზუვის,  
ცას, ისე, ვით ჰეროსტატე,  
ნაცრად ქვევას შებზუის...

1958



## ზღვა და ქარი

ქარი ღელვას ზღვას დაპირდა,  
ზღვაც მის ნებას მინებდა...  
მერე, ღელვით გადაღლილი,  
იქვე,  
ახლოს,  
ძველ ნაპირთან  
მიწვა დასაძინებლად!

1958



\*\*\*

შოორეული ხმა მესმის –  
ჩემთვის უძვირფასესი,  
ვითარცა სამშობლოს!  
- ქს ხმა არის ფაზისის,  
ენგურის და  
ხობოსის.

1957



## ეს, აია, ვესტო, შრი

აქ “ეა”<sup>1</sup> და “აია”<sup>1</sup> –ა,  
 იქ კი ფესტო<sup>2</sup> და ურია<sup>2</sup>.  
 ყრმის ტირილი ესმა ქანანს  
 (დედამ ცრემლი გაურია!),  
 რამაც ღმერთებს და  
 ქიანას<sup>3</sup>,  
 გზა და კვალი აურია.

1979

<sup>1</sup> ქალაქი-სახელმწიფოები პრეისტორიულ კოლხეთში

<sup>2</sup> უძველესი ქალაქები საბერძნეთში

<sup>3</sup> პრეისტორიული ქალაქი იერუსალიმში



## შელლი და მიუსე

ოქროს აკვანს ურწევს –  
ზღვისკარად გარსკვლავებს,  
მთვარე, ვით გადია.  
შენ კი ზიხარ და...  
შელლის და მიუსეს  
სონეტებს –  
ლამეებს მიუსევ  
და... წლები გადიან...

1957



\*\*\*

მეგონა, ლექსებს წყვდიადში  
ვანთებდი, როგორც ჩირალდანს!  
თურმე, ვშრომობდი ამაოდ.

შენდობას ვითხოვ –

ამაო!

– არცერთი არ დირს ჩირალაც!

1979



\*\*\*

ქართველები მოსკლიდან –  
უფლის ნებას მისდევდნენ...  
ვითარც ნანა დედოფალი!  
მეცე მირიანი!  
ქართველები ქრისტემდე –  
იყვნენ ქრისტიანი.

1960



## ჯოჯოხეთი მოგელის

შენ სამოთხე კი არა,  
 ჯოჯოხეთი მოგელის,  
 ვითარცა აქ...  
 და იქაც!  
 რადგან შენს “ფსალმუნებში” –  
 არის სეზან, გოგენის  
 და ვან გოგის ლვთიური  
 გამა,  
 ფერთა მისტიკა.

1980



## პოლიტიკი მზე

შენც ეგვიპტელივით  
სარ განდობილი...  
მიდი და ილოცე...  
კოლხური მზე ცეცხლი და სანძარია...  
შენი “ფსალმუნები” –  
ატლანტისის ტაძარია,  
ან სასახლეა მინოსის.

1991



## თეთნულდი

სულ სხვა ყოფილა მაღალ  
მთებიდან,  
მზე საცალფეხო ბილიკებით  
როცა ამოდის  
და სიწითლისგან დილა ცხარდება.  
გაიპო სივრცე...  
უცებ თეთნულდი  
ჰგავდა მაცხოვრის გამოცხადებას.

1969



\*\*\*

ვინც რომ შვიდგზის ლოცულობს და,  
არად აგდებს ქარს და წვიმას.  
და სულისთვის –

სხეულს

წირავს...

თაგს იხშობს და მიდის მწირად,  
ის ქრისტეს ხვედრს –  
იზიარებს.

1974



\*\*\*

ნიჭის ბუხარს კოლხური  
ცეცხლი თუ არ შევუპეოე,  
მითქვამს და კვლავ ვიმეორებ,  
რომ ახლა ყველა მეორე,  
ლექსებს წერს ჩემზე  
უგეოესს.

1990



\*\*\*

დამე ზის ცის ოგვაჯეში,  
მთიებს ათბობს და  
ფრთებს იკეცს.  
არის ზართა ამო რეპება...  
სანამ დამე, როგორც ხვითოს,  
ოქროს მზის კვერცხს  
გამოტებს და ოქროს დილას  
გამოჩეკავს.

1959



## ლოდინი

დღე —

დღეს მისდევს...

და წლებს — წლები...

ლოდინს ბოლო ადარ უჩანს

და შენ მაინც

არ გწყინდება!

გარინდული,

მოელვარე

მაყვლის ბუჩქთან —

კვლავ მოელი საქართველოს

გაბრწყინებას.

1991



\*\*\*

მოსვლის დღიდან ზეცას ელტვი,  
გით მშობლიურ კერიას.  
შენს სიცოცხლეს  
ატლანტისის  
გაძრის სვეტის –  
ფერი აქვს.

1961



ALIBABA.RU

\*\*\*

ঢ়ুন,

সোচে বেলজ ও  
সোমোর্জ গেলোস...  
ও ফামো, গুতা আতাসো ফেলো...

1957



## ამაღლება<sup>1</sup>

ოსე,  
ვითა ამირანძა  
ბაყბაყ დევი,  
მიწას ბევრი დაანარცხე,  
თუმც გეხვია ბევრი ეშმა,  
მაგრამ მაინც შენი მტრები  
დაამარცხე,  
ვით ჰუმბაბა  
გილგამეშმა.

1974

---

<sup>1</sup>“ამაღლება” – ეგრისელის დექსების კრებული (1971)



## ეტნა

ვულკანი კი არა,  
წინაპრის სულია,  
მიწისქვეშეთში რომ ვეღარ ეტევა,  
მთვარე კი მისი ქვა გულია,  
შენი პოეზია მდვიმე და გამოქვაბულია,  
ლექსები – სტალაქტიდები და  
სტალაგმიტებია.  
და მალე იქცევიან სინათლის  
სვეტებად.

1962



## მაჟუნის მელოდია

იმედდაკარგულთა კარებს –  
სიყვარულით აღებს გული  
(ალბათ სოფელს მეც  
ვჭირდები!).

რა გქნა!

მე, წყალწაღებული,  
ლექსების ხავსს  
ვეჭიდები.


1958



\*\*\*

მილიარდთა უსამანო  
ტყეში ცხოვრობ,  
ვით მეტყველ,  
ლოცვად მოგდის ხმა ცხოვარის.  
იგავურად კვლავ მეტყველებ,  
ვითარც ქრისტე-მაცხოვარი.

1959



## ბუღა

თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა,  
თვისტომელთა გასახარად,  
ბუღა იყო ის ჯურისებრ,  
მაგრამ უცებ წააქციეს  
და აქციეს –  
იგი ხარად,  
გახმე! – დაასაჭურისეს.

1982



\*\*\*

შორს ჩანს გაღმა ნაპირი...

და ჰა,

ჩემი მამული –

ზღვაა მეწამული,

და მე, მოსესავით,

გაღმა გასვლას ვაპირებ.

1969



## ორი არაბზო

ორი არაგვი, როგორც ორი — და,  
როგორც ორი მზეთუნახავი,  
მაღალ მთებში ჰყავს  
გამომწყვდეული  
და შორს არ უშვებს ქამი —  
უნდობი,  
არცერთი წამი!  
ორი არაგვი,  
ვით დღე და ღამე —  
თეთრი და შავი,  
ფშავ-ხევსურეთის მთებში  
ბუდობენ.

1971



\*\*\*

ვჭვრეტდი:

სადღაც ცხოვრების –  
საცალფეხო ბილიკზე,  
მზე ჰყვაოდა ბადისებრ,  
მაგრამ უამმა მიმალა!!!  
სამოთხეს ვინ მაღირსებს,  
ჯოჯოხეთში მიმავალს.


1960



## საჭურო

ასეა ესე საწურო:  
ადამის ძის შთამომავალს –  
სიცოცხლეს და  
სიყვარულსაც,  
სულ აწყურებს...  
აშიებს...  
მაგრამ შენ ბუზს ვერ აგიფრენს,  
ქალდეველთა ნაშიერს.

1992



## შველა და ყოველი

ოქროს ვარსკვლავები  
 და ვერცხლის ღრუბლები,  
 ცას რომ მოუშვია წვერივით.  
 და დედამიწაზე რაც არი —  
 ცეცხლიც და ნაცარიც,  
 აწიც რაც სამყაროს მოელის,  
 ყველა და ყოველი —  
 უფლის ხელითაა დაწერილი.

1960



## სარჩევი

წიგნი – “ნათელხილვა” .....	25
*** ცხოვრება ესე .....	26
*** წამით ყოვნდება მტკვარი მეტეხთან..	27
რა ქნას კარგმა მონარდემა .....	28
ხეები ქარში .....	29
მას ძაღლი დააკვდეს .....	30
კოლხური კვირბები .....	31
გადაიარეს შურის წვიმებმა .....	32
პონტოს და ფაზისს .....	33
*** მნათთა კრამიტით დახურულ .....	34
*** რადგან სიკვდილი ყოველთვის .....	35
სოხუმი – 92 .....	36
ბაბილონს, მისერეთს და ასურეთს .....	37
*** წარსულ დროთა .....	38
*** ვეცოდებით! .....	39
ახსოვთ .....	40
აცტეკებს, მაიას და ინკებს .....	41
ვამეყ დადიანი .....	42
*** მზე ჩადის... .....	43
კოლხეთს ვეძებ .....	44
ხაბოსი .....	45

სიკვდილის ქალაქი .....	46
ვითარც სპა რამზეს მეორის .....	47
მე როდის გამიღიმებს .....	48
იაპეტს და ჰიპერიონს .....	49
*** აღმოსავლით მავალ ვარსკვლავთა .	50
როგორც ყარაჩოლელი .....	51
თანაფა .....	52
ზღვა და პოეტი .....	53
წუხილი .....	54
ეჭა, სიკვდილო .....	55
კოლხური აფრები .....	56
დიდმის ველი .....	57
*** მდინარეთა ნახმალევი .....	58
გერვინ გაიგო .....	59
სიბრძნე ბალაპვარისა .....	60
*** აიეტის კოლხეთი .....	61
ძველი კოლხეთი .....	62
მინდვრის ყვავილები საფლავზე .....	63
ლაზარეთი – 1915 .....	64
სსოფნის მდინარე .....	65
მესხეთში .....	66
*** ცის მეჩეთში დრუბელი მოგვს .....	67
აჭარაში .....	68

პგავს რუსთაველის ნაკალმარს .....	69
ისტორიის მატარებელი .....	70
*** ასე ყოფილა მოკვდავთა ბედი .....	71
სოფოკლე .....	72
*** საუკუნე მრავალი .....	73
*** ზღვის ფსკერიდან ამოსული .....	74
დიდი ვაჟას ნატამალი .....	75
პენიოს .....	76
პრეისტორიული კოლხეთი .....	77
მერე... .....	78
გოლგოთისკენ .....	79
*** ცის წვერზე ერთი ღრუბელი .....	80
*** დიდი ეგრისის მიწაზე .....	81
*** ჩამოხუნძლული ზვირთთა მტევნებით .....	82
მყინვარი .....	83
თეთრი ღრუბელი .....	84
ისევ აუმ .....	85
ჯოჯოებს და ვასაკებს .....	86
ნაგრამი ტაოხთა .....	87
*** ელვამ თვალი რომ ჩაუკრა .....	88
მარტის ქარები .....	89
დარდების კოშკებს ვაშენებ .....	90

თბილისის ჭადრები .....	91
*** დღენაკლული თებერვალი .....	92
*** ზღვა ბიბოქრობს მგოსანთა .....	93
სიკვდილის წინ .....	94
უცებ წარმართთა ხმები მოდიდდა .....	95
სოფლად .....	96
პოსეიდონს .....	97
*** მე ჩემი საჯილდაო ქვა .....	98
სიმარტოვეში სხედან მგოსნები .....	99
მზე .....	100
ზვირთები და თოლიები .....	101
ზამბახები და ლურჯი იები .....	102
დრო .....	103
თემიდა .....	104
ლოდინის ლოდები .....	105
მანუჩარ მესამე ათაბაგი .....	106
სიკვდილი შემნახველი სალაროა .....	107
*** შუბლს უნამავდა ცვარივით ოფლი ..	108
*** მიმქროლავს სიშორის ბილიკით ..	109
ო, საქართველოვ .....	110
*** შედამების ცას მოვარე .....	111
პაპა .....	112
*** ზღვის გზით უვლია .....	113

*** ვითარცა დარეჯანის ქე	114
აბზუ-აფსარ-ენგური	115
ვაჟა, გალაკტიონი	116
ისევ “კოლხური ფსალმუნები”	117
ქართული სულის კოლიზეუმი	118
სულიწმინდის ქნარები	119
*** არაფერი ადარ შველის	120
1968 – 1971	121
ორიათასწლეულის	122
ბრაილის შრიფტი	123
ათასწლეულები	124
ლოდინი	125
გერგეთის ბეთლემი	126
ვითარცა ტაძარი ნეკრესის	127
ჯოკონდა	128
წყურგილე	129
2003	130
*** სულ სხვაა შენი ქართული	131
დხარმა-რადქა და იამა	132
სულიერი სხვული	133
*** ასე იყო	134
ნილოსის და ოდერის	135
ქრისტეს მხედარს და მწიგნობარს	136

*** სიცოცხლეც და სიკვდილიც .....	137
ხილვა: “ათი ქალწული” .....	138
მეცამეტე ცის თაღი .....	139
ფიქრი – ელვა .....	140
ჰყვავის ოქროს თავთავი .....	141
ორფეევსის ჩანგი .....	142
60 .....	143
*** ვინც ლოცვით და .....	144
*** სიმაღლე და .....	145
ნაკადულივით იდინოს .....	146
2000 .....	147
გაზაფხული – 1983 .....	148
*** გაზაფხულის სიმწვანედ .....	149
ოლმეპებს და ჩავინებს .....	150
ირმის ნახტომი .....	151
რუსთველს, ხანძთელს, ცურტაველს .....	152
ადრიდა .....	153
გზაა შორეული .....	154
მითოსს, მისტიკას და მისტერიებს .....	155
ჩე გოლა .....	156
პოეტი და რაინდი .....	157
ბეტელპეიზი და რიგელი .....	158
კოლხური მუსონები .....	159

*** სიმყუდროვე ზესკნელის .....	160
პართენოგენეზი .....	161
*** შენც .....	162
ყოფნის ჟამი ცარცული .....	163
კილიმანჯაროს მთებიდან .....	164
ფლამინგოები .....	165
*** შვიდგზის ხარ მოხსილველი .....	166
წყალბადსა და პელიუმს .....	167
რაშმორის მთა .....	168
ჩვამები და ვარხვები .....	169
ანტარქტიდა .....	170
ეგრისელის “დამის ცა” .....	171
რეპტილიები .....	172
სტოუნცენჯები .....	173
ურის ზიქურათი .....	174
ლოდინი .....	175
ტრიტონებს და სალამანდრებს .....	176
სიყვარულის “სამკერდული” .....	177
როგორც პტოლემეოსი .....	178
ვით კობრა და ანაცონდა .....	179
ხმა .....	180
ურანოსს, ნეპტუნს და პლუტონს .....	181
ლეტა .....	182

ოთხთავი .....	183
აწყურის ღვთისმმობლის ხატი .....	184
საონოების მწვერვალი .....	185
წმინდა ნაწერები .....	186
*** სადღაც ჯოჯოხეთშია .....	187
ოროვანდი, ორქბილა .....	188
იძერები .....	189
*** პონტოს ქაფიდან კოლხეთს ნაშობი .....	190
წმინდა მიწაზე .....	191
მთვარის კუბო .....	192
პლატონიც და პლუტონის .....	193
სულთათანა .....	194
*** ვარსკვლავების ასოებით .....	195
ხილვა: ქრისტე .....	196
*** ლოცვით და ლოდინით დაღლილი..	197
ის .....	198
ჰე, კოლხეთო!	199
ღუნიებს და ოდიშვილებს .....	200
სუპერგიგანტი .....	201
ორი ანგელოზი .....	202
*** სამოთხეში პპოვებს ბინას .....	203
*** მიწაზე და მაღლა ცაში .....	204

ღმერთია მოწყალე	205
*** მლოცველს უფლის რწმენისათვის	206
თეთრი და შავი არაგვი	207
სული კაცობრიობის	208
*** ვინც ტაძარში სანთელს ანთებს	209
წიგნი – “იქმენ ნათელი!”	210
*** ცის ტაძარში მწუხრის მოვარე	211
ოდი	212
*** ღმერთის სიყვარულისათვის	213
*** ბრალი არის	214
ვეზუვი	215
ზღვა და ქარი	216
*** შოორეული ხმა მესმის	217
ეა, აია, ფესტო, ური	218
შელლი და მიუსე	219
*** მეგონა, ლექსებს წყვდიადში	220
*** ქართველები მოსვლიდან	221
ჯოჯოხეთი მოგელის	222
კოლხური მზე	223
თეთნულდი	224
*** ვინც რომ შვიდგზის ლოცულობს	
და	225
*** ნიჭის ბუხარს კოლხური	226

*** ღამე ზის ცის ოგვაჯეში .....	227
ლოდინი .....	228
*** მოსკლის დღიდან ზე-ცას ელტვი ..	229
*** შენ .....	230
ამაღლება .....	231
ეტნა .....	232
მწუხერის მელოდია .....	233
*** მიღიარდთა უსამანო .....	234
ბუდა .....	235
*** შორს ჩანს გაღმა ნაპირი .....	236
ორი არაგვი .....	237
*** ვჭვრებდი .....	238
საწუთო .....	239
ყველა და ყოველი .....	240



გაზა ებრისელი

## გოლჩური ფსალმუნები

100 ფორად  
ფორმი 47

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHISALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 47

- |                     |                             |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის       | – ელზა მეტრეველი            |
| რედაქტორი           | – საართაგ ციცებაძე          |
| მხატვარი            | – ირაკლი უშვილიშვილი        |
| მხატვრული რედაქტორი | – ნანა ღუბიაძე              |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუბიაძე              |
| კორექტორი           | – ნატო ღოლგაია              |
| კომპიუტერული        | – ნანა ღა ღათო ყალბაშვილევა |
| უზრუნველყოფა        | – ნანა ღა ღათო ყალბაშვილევა |
| გამომცემელი         | – ზურაბ ღოლგაია             |

გამომცემელი – ზურაბ ღოლგაია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკის №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com